პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 201 (9669) | ოთხშაბათი, 26 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მთელ მსოფლიოში მშვიდობის სასარგებლოდ საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობისათვის! — „პრავდის“ 24 აგვისტოს მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები. — კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო. დეპუტატების მ. ი. ბარამიას და ა. ი. ჯანელიძის სიტყვები (მე-2 გვერდი).
ხალხთა მეგობრობის დროშით. — პ. ჭიოკაძე. — წარმოებაში განმტკიცებული მეგობრობა (მე-2 გვერდი).
საგაზეთო თემაზე. — ჩაის კრეფა და რაციონული გაზეთი (მე-2 გვერდი).
დ. ბუზუკაშვილი. — სელექციონერებთან (მე-2 გვერდი).
გ. წირღვავა — კრიტიკის მსხვერპლნი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის გამოხმაურება მთავრობის [illegible] საბჭოთა კავშირში წყალბადის ბომბის [illegible] (მე-3 გვერდი).
ხელოვნების ქრონიკა. — 1952 წლის საკავშირო სამხატვრო გამოფენის განხილვა (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო თემაზე. — **მ. სტურუა.** — შუბი ხალთაში არ დაიმალება (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაცია (მე-4 გვერდი).

მთელ მსოფლიოში მშვიდობის სასარგებლოდ საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობისათვის!

„პრავდის“ 24 აგვისტოს მოწინავე

დამთავრდა მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციებს შორის.

მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც ნამდვილი გულითადობის, ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, განხილულ იქნა დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეეხება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებას, აგრეთვე მომწიფებული საკითხები, რომლებიც შეეხება მთლიანად გერმანიის პრობლემას. ამ განხილვამ გამოავლინა შეხედულებათა სრული ერთიანობა და მას მოყვა დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, ნაკარნახევი გულწრფელი სურვილით, რომ უზრუნველყოფილი იქნას გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება, დახმარება გაეწიოს გერმანელ ხალხს მტკიცედ დაადგეს მშვიდობიანი განვითარების გზას და განახორციელოს თავისი ეროვნული მისწრაფებანი.

როგორც თავის 22 აგვისტოს სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა, გერმანია ახლა განიცდის თავისი ისტორიის უაღრესად პასუხსაგებ ეტაპს.

რეაქციული საერთაშორისო ძალები ადენაუერის ხროვასთან შეთანხმებით, რომელიც კვალდაკვალ მისდევს ჰიტლერელ სამხედრო დამნაშავეებს და პასუხს აგებს იმისათვის, რომ გერმანიას დღემდე არა აქვს საზავო ხელშეკრულება, ცდილობენ გათიშონ დასავლეთი გერმანია მშვიდობისმოყვარე ხალხებისაგან, გააღვივონ ძმათამკვლელი ბრძოლა გერმანელთა შორის, გააჩაღონ აგრესიული ომი, რომელიც გარდუვალად გამოიწვევს ხალხთა დიდ გულისწყრომას, გადააქცევს დასავლეთ გერმანიას ცეცხლისა და ელეტის ზონად, ხოლო გერმანელ ხალხს მიიყვანს ახალ უდიდეს ტრაგედიამდე. აგრესორთა შეთქმულება ერთსა და იმავე დროს მიმართულია გერმანელი ხალხის წინააღმდეგაც და ევროპის მშვიდობის საქმის წინააღმდეგაც.

დაუშვებენ თუ არა პატიოსანი გერმანელი პატრიოტები, რომ მილიტარისტებმა განახორციელონ ეს შეთქმულება?

გერმანელი ხალხის წინაშე დასახულია იმის შესაძლებლობა, რომ შექმნას თავისი ისტორიის ახალი ეპოქა, თუ აირჩევს მშვიდობიანი განვითარების, ეროვნული აღორძინებისა და აყვავების გზას. „თუ მთელი გერმანელი ხალხი, — თქვა გ. მ. მალენკოვმა, — მოისურვებს, რომ გერმანიის საკითხი მოწესრიგებულ იქნას მშვიდობიანი გზით, მაშინ ვერავითარი აგრესიული ძალები, ვერც ოკუპანსგაღმელი, ვერც ევროპული, ვერ შეძლებენ ხელი შეუშალონ ამ კეთილშობილური მისწრაფების განხორციელებას. გერმანიის ბედი გერმანელი ხალხის ხელშია.“

აფასებენ რა თავისი ქვეყნის განვითარების XX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიულ შედეგებს, გერმანელი ერის საუკეთესო ძალები უარყოფენ ომის გზას, რომელიც გერმანიისათვის მოასწავებს ეროვნული თვითმკვლელობის გზას. ისტორია გვასწავლის, რომ მილიტარიზმის გზას გერმანია გარდუვალად მიყავს ეროვნული კატასტროფისაკენ, რომ აღოვევს რა ევროპის ქვეყნების მშვიდობასა და უშიშროებას, გერმანიის მილიტარიზმი მუდამ გამოდიოდა თვით გერმანელი ერის მესაფლავის როლში.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიას თავს მოახვიეს ვერსალის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის ნაწილობრივ ოკუპაციას 15 წლის ვადით. ახლა რეაქციულმა საერთაშორისო ძალებმა დასავლეთ გერმანია შებოჭეს „ბონის ხელშეკრულებით“, რომელიც უფრო მძიმე და დამამცირებელია: იგი ანაწილებს გერმანიას, მის დასავლეთ ნაწილს აქცევს უცხო სახელმწიფოს ვასალურ პროვინციად და ლეგალურს ხდის გერმანიის ამ ნაწილის ოკუპაციას 50 წლით.

ისტორიის გაკვეთილებს ამაოდ არ ჩაუვლია. გერმანელი ხალხის წიაღში სერიოზული ძვრები ხდება, სულ უფრო მეტად მტკიცდება მისწრაფება — უზრუნველყოფილ იქნას გერმანიის განვითარების მშვიდობიანი გზა. ამ მიზნის მიღწევაში ისტორიული როლი ეკუთვნის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელშიც მშვიდობისმოყვარე ადამიანები ხელავენ მშვიდობისა და შრომის, დემოკრატიისა და პროგრესის დროშით მიმავალი ახალი გერმანიის შექმნას.

საბჭოთა კავშირი იბრძვის, რომ უფრო სწრაფად გაიმარჯვოს გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარე ძალების სამართლიანმა საქმემ. ამას მოწმობს საბჭოთა მთავრობის 1953 წლის 15 აგვისტოს ნოტა საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი, რომელიც შეიცავს გაშლილ პროგრამას, რომელიც შესაძლებელს ხდის დაუყოვნებლივ მოწესრიგდეს გერმანიის საკითხი მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. ამასვე ახალი ძალით მოწმობს საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის 20-22 აგვისტოს მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების შედეგები.

ამ მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია სრული შეთანხმება იმის შესახებ, რომ აღკვეთილ უნდა იქნას არანორმალური მდგომარეობა, როცა გერმანიას — ევროპაში ომის დამთავრების მომენტიდან რვა წლის გასვლის შემდეგ არა აქვს საზავო ხელშეკრულება, გათიშულია დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად და არა თანასწორუფლებიანი მდგომარეობა უკავია სხვა სახელმწიფოთა მიმართ. უახლოეს დროში მოწვეულ უნდა იქნას საზავო კონფერენცია, ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას საზავო ხელშეკრულების მომზადების ყველა სტადიაზე, აგრეთვე საზავო კონფერენციაში გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობა. გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღსადგენად უნდა შეიქმნას სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა. ეს მთავრობა უნდა შეიქმნას აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის უშუალო შეთანხმების გზით. ამ მთავრობის მთავარი ამოცანა ის იქნება, რომ მოამზადოს და მოაწყოს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნები. ამ არჩევნების შედეგად გერმანელი ხალხი თვითონ, უცხო სახელმწიფოთა ჩაურევლად, გადაწყვეტს ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხს.

გერმანიის საკითხის გადაჭრისათვის უდავოდ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ ოთხმა სახელმწიფომ უკვე უახლოეს დროში მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებანი იმ წინადადებათა მიხედვით, რომლებიც მოყვანილია საბჭოთა მთავრობის ნოტაში, რაც 15 აგვისტოს გაეგზავნა საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს.

ამ წინადადებათა შორის უაღრესად დიდმნიშვნელოვანია საბჭოთა მთავრობის წინადადება გერმანიის იმ საფინანსო-ეკონომიურ ვალდებულებათა შემსუბუქების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია 1954 წლის 1 იანვრიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის რეპარაციების გადახდევინების შეწყვეტა; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებაში გერმანიაში არსებული საბჭოთა საწარმოების უსასყიდლოდ გადაცემა; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ ხარჯების ოდენობის შემცირება, რომლებიც დაკავშირებულია მის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების ყოფნასთან, ისეთ თანხამდე, რომელიც არ აღემატება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის 5 პროცენტს. საბჭოთა მთავრობამ გათავისუფლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საგარეო საოკუპაციო ხარჯების დავალიანების გადახდისაგან, რომელიც შეიქმნა 1945 წლის შემდეგ. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ გერმანია თავისუფალია საბჭოთა კავშირისათვის ომის შემდგომი სახელმწიფო ვალების გადახდისაგან.

ამასთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმების შესახებ მხარეებმა ხელი მოაწერეს ოქმს გერმანიის რეპარაციების გადახდევინების შეწყვეტის შესახებ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ საფინანსო-ეკონომიურ ვალდებულებათა შემსუბუქების სხვა ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან.

მოლაპარაკების მსვლელობაში მიღწეულ იქნა შეთანხმება აგრეთვე ზოგიერთ სხვა საკითხზეც, რომლებიც შეეხება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ეკონომიური, კულტურული და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განმტკიცებასა და განვითარებას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი დახმარებაა შეთანხმებათ გათვალისწინებული საბჭოთა საქონლის დამატებითი მიწოდებანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. მხედველობაშია, რომ 1953 წელს სსრ კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწვდის, მოქმედი სავაჭრო შეთანხმების დამატებით, დაახლოებით 590 მილიონი მანეთის საქონელს. საბჭოთა მთავრობამ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შეღავათიან პირობებში მისცა 485 მილიონი მანეთი კრედიტი.

მოლაპარაკების მსვლელობაში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ საელჩოებად გადაკეთდეს სსრ კავშირის დიპლომატიური მისია ბერლინში და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისია მოსკოვში და გაიცვალოს ელჩები.

ყველა ამ გადაწყვეტილების განხორციელება, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შეეხება, არსებით დახმარებას გაუწევს გერმანელ ხალხს არა მარტო ეკონომიურად, არამედ ისეთი პირობების შექმნაშიც, რომლებიც საჭიროა გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის.

— საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ეკონომიური დახმარების შესახებ, — განაცხადა თავის სიტყვაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. გროტეოლმა, — მთელი გერმანელი ხალხისათვის წარმოადგენს სსრ კავშირის მთავრობის უანგარო, მეგობრული მხარდაჭერის დადასტურებას.

საბჭოთა ხალხი კმაყოფილებით შეხვდება საბჭოთა მთავრობისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკების შედეგებს. ამ მოლაპარაკების მსვლელობაში შემუშავებული გადაწყვეტილებანი შეესაბამებიან ყველა საბჭოთა ადამიანის მისწრაფებას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისადმი. საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ მოლაპარაკების შედეგად კიდევ უფრო განვითარდება და განმტკიცდება მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა მთავრობისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკების შედეგებს, რომლებიც დიდი წვლილია მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში, მზურვალე მოწონებით შეხვდება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

ჩვენს დიად სამშობლოში

ლენინგრადი. ფეხსაცმლის ფაბრიკა „პროლეტარსკაია პობედას“ კოლექტივმა შარშანდელთან შედარებით 80 პროცენტზე მეტით გაადიდა მოდელური ფეხსაცმლის გამოშვება. კოლექტივმა ივლისში ნორმის გადამეტებით გამოუშვა 25 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

სურათზე: ქალის მოდელური ფეხსაცმლის საამქროს გამომყვანი უბნის კონვეიერი. წინა პლანზე მუშები ე. ფ. ბელკა (მარჯვნივ) და ი. კ. კოსტილევა. ისინი ნორმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ.

ფოტო პ. ფედოტოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ეპანსის მიცემა თევეების მიხედვით

შოსტკა (სუმის ოლქი). (საკდესი). კოლმეურნეობა „პოლშევიკმა“ კოლმეურნეებს გამომუშავებულ შრომადღეებზე მისცა მორიგი ფულადი ავანსი. თვეების მიხედვით კოლმეურნეთა შრომის ავანსით ანაზღაურება აქ სისტემად იქცა. ფულადი დაგროვების სწრაფმა ზრდამ, წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგიდან გეგმაზომიერმა შემოსავალმა ამის ყველა აუცილებელი პირობა შექმნა. წლის პირველ ნახევარში კოლმეურნეობის სალაროში შევიდა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი. ამან საშუალება მისცა კოლმეურნეობას თავის დროზე შეესრულებინა საფინანსო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, შეევსო განუყოფელი ფონდი და ავანსი მიეცა კოლმეურნეებისათვის.

ბოსტნეულისა და კარტოფილის შენახვის ახალი წესები

ხარკოვი. (საკდესი). უკრაინის მებოსტნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა შეიმუშავეს და ნერგავენ პამიდორის, კომბოსტოს, სტაფილოსა და კარტოფილის შენახვის ახალ მაღალეფექტიან წესებს.

ჩეეულებრივ სექტემბერში საგვიანო ჯიშის პამიდორს კრეფენ მწვანეს და თითქმის მთლიანად ამარილებენ. ინსტიტუტის მუშაკებმა წამოაყენეს წინადადება ყინვების წინ მოკრეფილი მწვანე ნაყოფი შენახულ იქნას ჩალადადგასარეულ ბოჭტებად. აქ პამიდორი მწიფდება, და ახალი პამიდორის მოხმარების ვადა ერთი თვით გრძელდება.

მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებსა და დამხმარე მეურნეობებში ინსტიტუტმა დანერგა კომბოსტოსა და კარტოფილის შენახვის ახალი წესი. ზამთრის დაწყებიდან კომბოსტოსა და კარტოფილს აწყობენ კარგად დატკეპნილ თოვლიან მოედანზე და ზეკიდან აყრიან ერთი მეტრი სისქის თოვლს. თოვლის ზემოთ დებენ 30-40 სანტიმეტრი ჩალის ფენას. ბოსტნეული და კარტოფილი ამგვარად თითქმის დაუზიანებლად ინახება ივნისამდე. კუროორტ „ბერიოზოვკის მინერალურ წყლების“ დამხმარე მეურნეობაში მოწყობილ ცდებს საკუთეესო შედეგები მოჰყვა.

ლენინგრადის საწარმოებში

ტრიკოტაჟის ნაწარმი

ტრიკოტაჟ-წინდის ფაბრიკა „კრასნოე ზნამიას“ ათასობით მუშა მონაწილეობს საწარმოო პროფესიის რაციონალიზაციაში, იბრძვის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. გამოუენებულია კაპრონის წინდების ქსოვაზე ერთ-ერთი საბოლოო ოპერაციის ახალი ტექნოლოგია. წინდის გამოშვება ერთნახევარი პროცენტით გადიდდა.

ფართოვდება სამკერვალო საამქრო. აგვისტოში მნიშვნელოვნად გადიდდა აბრეშუმის თეთრეულისა და გაწყობილი ტანსაცმელის გამოშვება. ფაბრიკის მოდელიერებმა და მხატვრებმა შეიმუშავეს 50-მდე ახალი ფასონის ნაწარმი. წლის დამდეგიდან ფაბრიკა „კრასნოე ზნამიას“ კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა 4 მილიონი მანეთისაზე მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

თევზის კონსერვები

ქარხანა „პიშჩევიკი“ დიდი თევზდამმუშავებელი საწარმოა. აქ ყოველდღიურად უშვებენ ათეულათასობით ქილა თევზის კონსერვს.

საწარმოს კოლექტივი აუმჯობესებს წარმოების ტექნოლოგიას. ინჟინერმა ი. გრილიხესმა და ტექნიკოსმა ვ. პინაევმა შექმნეს თევზის შებოლვის ახალი მეთოდი, რომელიც ერთიორად ერთისამად ადიდებს ღუმელების წარმადობას.

საწარმოში დიდი მუშაობა მიმდინარეობს წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. ამ დღეებში საექსპლატაციოდ გადაცემულ იქნა ახალი ზეთასასმელი მანქანები, გავსებული ქილების დასაცობი ნახევარავტომატები. მთლიანად დამთავრდა კონსერვის ქილების კეთების ავტომატიზაციის პროცესი. მოქმედი ნაკადური ხაზი ცვლაში 80.000-მდე ქილას უშვებს. შარშანდელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება ქარხანაში 28 პროცენტით და მეტით გადიდდა. (საკდესი).

ასი ათასი ექსკურსანტი ვოლგა-დონზე

სტალინგრადი. (საკდესი). ამ ზაფხულს დიდი გამოცოცხლებაა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხზე. ვოლგასა და დონს შუა დღისით და ღამით დადიან საბუქსირო გემები, რომლებსაც დაჰყავთ ყუბანისა და დონის ხორბლით, დონეცის ქვანახშირით, კამის ხე-ტყით, მექანიზმებით დატვირთული კარავანების ქარავნები. ხშირად დადგან სამგზავრო გემები და მათ შორის კომფორტაბელური დიზელ-ელექტრომავლები „როსია“, „უკრაინა“, „ბელორუსია“.

ვოლგა-დონი მრავალ ექსკურსანტს იზიდავს. სტალინგრადის ნავსადგურიდან ყოველდღე მიდიან მგზავრებით სავსე „მოსკვიჩის“ ტიპის თბომავლები. ისინი მიდიან კრასნოარმეისკს, იქიდან კი ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის პირველ რაბში. ექსკურსანტთა შორის არიან ურალელი მესწავლეებლები და მეტალურგები, დონბასელი მეშახტეები, ტურისტები უკრაინიდან, ბელორუსიიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, უცხო ქვეყნების დელეგაციები. ისინი ათვალიერებენ რაბების დიდებულ ნაგებობებს. კარპოვკის, ვარვაროვკისა და ბერესლავკის ვრცელ წყალსაცავებს.

მიმდინარე ნავიგაციის სამ თვეში ვოლგა-დონზე 100 ათასზე მეტი ექსკურსანტი იყო.

მოსკოვის საწარმოთა ახალი პროდუქცია

მოსკოვის ბევრმა ფაბრიკა-ქარხანამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აითვისა ახალი სახეების პროდუქციის გამოშვება. მოსკოველები აკეთებენ ახალ ძლავრ მანქანებს, დიდი წარმადობის ავტომატურ ჩარხებს, ზუსტ ხელსაწყოებს, ფეხსაცმელს. ქვეყნდება ცხობები დედაქალაქის საწარმოთა ახალი პროდუქციის შესახებ.

* * *

მოსკოვის ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ ავტომატური ჩარხები გაუგზავნა ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებელ საწარმოებს. წლის დამდეგიდან აქ დამზადდა ცხრა ახალი მოდელის ჩარხები. მათ შორის წნელის სწრაფი ავტომატები, ჩამოსაჭრელი ოთხშპინდელიანი ავტომატები, სპეციალური ჩარხები ნავთობის მრეწველობისათვის, ახალი კონსტრუქციის მრავალსაჭრისიანი უნივერსალური ნახევარავტომატები.

აქ აითვისეს მძიმე გამომხარატებელი ჩარხების გამოშვება, რომელთა წონა 60 ტონას აღემატება.

* * *

ორმოცდაათზე მეტი ახალი ტიპის **საკისარს** უშვებს წელს ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველი საკისართა ქარხანა.

ახალი პროდუქციის ათვისებაში დიდი წარმატებები მოიპოვა მცირე სერიების № 4 საამქროს კოლექტივმა. აქ დაამზადეს ექვსმწკრივა საკისრები ქარხანა „ზაპოროჟსტალისათვის“. მცირე სერიების № 3 საამქრო უშვებს ერთ მეტრამდე დიამეტრისა და თითქმის ნახევარ ტონამდე წონის ორმწკრივ კონუსურ საკისრებს. მათ დასამზადებლად გამოყენებულ იქნა ახალი მექანიზმები და სამარჯვები, რომლებიც შექმნილია ქარხნის რაციონალიზატორთა წინადადებით. ამან საშუალება მისცა საამქროს მნიშვნელოვნად გაეიდიდებინა შრომის ნაყოფიერება და განეხორციელებინა ბევრი ოპერაციის მექანიზაცია. ახალი საკისრები განკუთვნილია ვოლგისა და დნეპრის ჰიდროელსადგურების გიგანტური ტურბინებისათვის.

* * *

მოსკოვის ქარხანა „კალიბრის“ ახალი პროდუქციაა **ინდიკატორული საათი.** ამ საათს დგამენ ლითონის სიმაგრის შესამოწმებელ ხელსაწყოებზე. ასეთ ხელსაწყოებს ფართოდ იყენებენ ჩვენი ქვეყნის საწარმოებში.

„კალიბრის“ მარკის ინდიკატორული საათი ბევრად უკეთესია საზღვარგარეთული ფირმების ანალოგიურ საათებზე.

* * *

ასი ახალი მოდელის ფეხსაცმელს უშვებს ფაბრიკა „პარიზის კომუნა“. ყოველდღიურად ფაბრიკის კონვეიერიდან ჩამოდის ქალის შევრის ლურჯი, თეთრი, წითელი, მწვანე ტუფლები, საუკეთესო ხარისხის ტყავის ყელიანი ფეხსაცმელი, მამაკაცისა და მოზარდის სანდალეტის ტიპის ღია შავი ტუფლი. წლის დამდეგიდან ფაბრიკის კოლექტივმა უკვე გადასცა სავაჭრო ორგანიზაციებს 100 ათასი წყვილით მეტი ფეხსაცმელი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. პროდუქციის 83 პროცენტზე მეტი უმაღლესი და პირველი ხარისხისაა.

წლის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გადიდდება შემოდგომისა და ზამთრის ფეხსაცმლის გამოშვება. საწარმოს მემოდელეებმა დაამზადეს ტუფლისა და ყელიანი ფეხსაცმლის 70 ახალი მოდელი, რომლებიც მასობრივი წარმოებისათვის გადაეცემა აგვისტოში.

წელს ფაბრიკის მუშაკებმა ათვისეს სულ ასზე მეტი სხვადასხვა მოდელის ფეხსაცმლის წარმოება.

* * *

გაუმჯობესებული კონსტრუქციის ორთქლის ტურბინების გამოშვება დაიწყო ქარხანა „ბორეცმა“. ნავთობსახდელი ქარხნებისათვის განკუთვნილი ეს ტურბინები აამუშავებენ ცენტრიდანულ ტუმბოებს.

ქარხნის ინჟინრებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მანქანის ძირითადი კვანძების კონსტრუქცია. ახალი ტურბინი საექსპლატაციოდ უფრო საიმედოა, ვიდრე წინანდელი. ეს ცხადყო ნავთობსახდელ ქარხნებში ხანგრძლივმა სამრეწველო გამოცდამ.

ორთქლის ტურბინების დიდი პარტია უკვე გაეგზავნათ ვოლგისპირეთისა და მოლოტოვის ოლქის მენავთობეებს. (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე

ქამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ მ. ი. ბარამიას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხები, მათ შორის საქართველოს ყველა მშრომელი, უდიდესი სიხარულითა და მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებს და ამ სესიაზე ამხანაგ მალენკოვის ბრწყინვალე სიტყვას.

სესიის მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო ბიუჯეტში და აგანაგ მალენკოვის სიტყვაში ნათლად არის გამოხატული შშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური წინსვლის, მისი თავდაცვისუნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცების, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი ასიგნობანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი მთლიანად მიმართულია იქითკენ, რომ კიდევ უფრო განმტკიცდნენ კოლმეურნეობანი, ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას და კოლმეურნეთა შემოსავლის საგრძნობ გადიდებას.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში, დიდი რუსი ხალხის მუდმივი მხარდაჭერით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სისტემატური დახმარების შედეგად ქართველმა ხალხმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია მრეწველობის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარების საქმეში.

უდიდესი წარმატებებია მოპოვებული საქართველოს მრავალდარგოვანი მექანიზებული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ჩაის პლანტაციების საერთო ფართობი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 58.000 ჰექტარის აღემატება, ციტრუსოვანი კულტურების ნარგავები 20.000 ჰექტარზე მეტია, ვენახების საერთო ფართობი რესპუბლიკაში 57.000 ჰექტარს აღწევს, ხოლო ხეხილის ბაღები 85.000 ჰექტარზე მეტია.

ჩაის პლანტაციების ფართობი მარტო კოლმეურნეობებში 1940 წელთან შედარებით 19,5 პროცენტით გადიდდა, ვენახებისა — 13,3 პროცენტით, ხოლო ხეხილის ბაღების საერთო ფართობი 19,9 პროცენტით გაიზარდა.

სოფლის მეურნეობას შექმნილი აქვს მძლავრი ტექნიკური ბაზა. ამჟამად საქართველოში არსებობს 104 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, მათ შორის 3 მეცხოველეობის სამანქანო სადგურია.

დიდი სამუშაოები შესრულდა სარწყავი სისტემების მშენებლობის, ახალი მიწების ამოშრობისა და ათვისების დარგში.

ჩვენი მიღწევები გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, რესპუბლიკის ყოფილ ხელმძღვანელობას უხეში შეცდომები და დამახინჯებანი რომ არ დაეშვა. ეგრეთწოდებული „პურის პრობლემის“ გადაწყვეტის საბაბით, პარტიისა და ხალხის ამეკამად მხილებული მტრის ბერიას ზეგავლენით და მისი მაგნე „შეფობის“ შედეგად, მიღებულ იქნა არარეალური გეგმა. პურის ფართობის გადიდებით არანორმალურად გატაცების შედეგად მთელ რიგ რაიონებში მთლიანად გადაიხნა საძოვრები, სათიბები, ბევრგან გორაკები და ფერდობებიც, საიდანაც ნიადაგის სიმწირისა და ბევრგან ჩამორეცხვის შედეგად ან მთლიანად დაიღუპა ან მიღებულ იქნა სრულიად უმნიშვნელო მოსავალი. ამრიგად, ზოგიერთ რაიონსა და კოლმეურნეობაში გადიდების ნაცვლად მოსავლიანობა შემცირდა, ამავე დროს განვითარების ბაზა გამოეცალა მეცხოველეობას. აი რა ზიანი მოუტანა ასეთმა მავნებელურმა დაგეგმვამ ჩვენს სოფლის მეურნეობას, მეცხოველეობას.

ამ შეცდომებისა და დამახინჯებათა გამოსასწორებლად მიღებულია სათანადო ზომები.

აღდგენილ უნდა იქნას თესლბრუნვა, რაც არასწორად იყო შეწყვეტილი. მარცვლეულის ნათესების თვითეულ ჰექტარზე მიგიღოთ გაცილებით უფრო მაღალი მოსავალი, ვიდრე დღემდე ვიღებდით, — ასეთია ამოცანა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი ძვირფასი კულტურების განვითარებას, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, ვენახი, ბადები, თამბაქო, აგრეთვე კარტოფილის, ბოსტნეულისა და მეცხოველეობის საკვები კულტურების ფართობის მკვეთრად გადიდებას. განზრახულია უახლოესი ორი წლის განმავლობაში გაშენდეს 10.000 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციები, 5.000 ჰექტარი ციტრუსოვანი კულტურები, 7.500 ჰექტარი ვენახი, 7.000 ჰექტარი ხეხილის ბაღები. გარდა ამისა, გაშენდება 3.500 ჰექტარი სუბტროპიკული ხილი და სხვ. სულ ორი წლის განმავლობაში მარტო კოლმეურნეობებში გაშენდება 36.000 ჰექტარზე მეტი მრავალწლიანი კულტურები. ამრიგად, 1955 წლის ბოლოსათვის მრავალწლიანი კულტურების ფართობები 300.000 ჰექტარს მიაღწევს, რაც 75.000 ჰექტარით ან 34 პროცენტით მეტი იქნება, ვიდრე 1940 წელს.

მთელი რიგი წლების განმავლობაში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში არ სრულდება ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის თესვის გეგმა, რაც უნდა აიხსნას ამ კულტურებისადმი არასაკმაო ყურადღებით.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში არ სრულდება პიროტყვის სულადობის ზრდის გეგმები, დიდად ჩამორჩება პროდუქტიულობა.

მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად ამაღლების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგროტექნიკური და ზოოტექნიკური წესების მტკიცედ დაცვას, რაც ხშირად ირღვევა, მეცნიერების მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილების, ახალი ტექნიკის პროპაგანდას და ფართოდ დანერგვას. დიდია სამანქანო-სატრაქტორო სადგურების როლი. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენმა მტს-ებმა მიიღეს 2.900 ტრაქტორი 15-ძალიანზე გადაყვანით, 800 კომბაინი, 1.600 გუთანი და ბევრი სხვა მანქანა. მტს-ებში ჯერ კიდევ არ არის დამყარებული ნამდვილი სახელმწიფო წესრიგი, რითაც უნდა აიხსნას მთელ რიგ შემთხვევებში მანქანების რემონტის ცუდი ხარისხი, საწვავის გაფახარჯვა, საფინანსო დისციპლინის დარღვევის ფაქტები, თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმის შეუსრულებლობა. საჭიროა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის უკეთესი ორგანიზაცია, რათა მიღწეულ იქნას სოფლის მეურნეობის მთავარი ამოცანის გადაწყვეტა: ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ზრდა, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება, კოლმეურნეობათა მთელი ეკონომიკის მკვეთრი აღმავლობა.

წელს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამისათვის, რომ საშემოდგომო თესვის გეგმა შესრულდეს რაც შეიძლება მოკლე და აგროტექნიკურად ყველაზე ხელსაყრელ ვადაში. უნდა მოეწყოს ტრაქტორების ორცვლიან სამუშაოზე გადაყვანა.

ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა 15 აგვისტოსათვის შესრულებულია 73,5 პროცენტით. მაგრამ ზოგიერთი რაიონი ძლიერ ჩამორჩება. უნდა მიგაღწიოთ იმას, რომ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა შეასრულოს ყველა რაიონმა. უზრუნველყოფილ უნდა იქნას თამბაქოს უდანაკარგოდ აღება, ჩაის, ციტრუსების და ვენახებისათვის ნიადაგის მომზადების სამუშაოების დროზე ჩატარება.

კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის აუცილებელია კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, კოლმეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შეაფერი კადრებით განმტკიცება. უნდა მიგაღწიოთ იმას, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეებად იყვნენ სპეციალისტები უმაღლესი და საშუალო განათლებით, აგრეთვე პრაქტიკოსი ორგანიზატორები, რომლებსაც საკოლმეურნეო საქმიანობაში დიდი გამოცდილება აქვთ. კიდევ უფრო გაბედულად უნდა დავაწინაუროთ ქალები კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტზე.

როგორც მოხსენებაში იყო ნათქვამი, სოფლის მეურნეობის ღონისძიებებზე წელს დაიხარჯება 325 მილიონი მანეთი. ექვი არ არის, რომ საქართველოს კოლმეურნეები, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ყველა მუშაკი ენერგიული მუშაობით უპასუხებენ ამ ზრუნვას და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანები სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის დარგში, თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმეში. (ტაში).

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს თბილისის პირველმა კომბინატმა პროფესიული ტექნიკური სკოლის შენობაში მოაწყო გამოშვება მაღალხარისხოვანი ტრიკოტაჟისა, რომლისგანაც იქნე წარმოებს მზაპროდუქციის გამოშვება. წარმოებამ მიიღო ლენინგრადის ენგელსის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამზადებული რთული დაზგები.

სურათზე: მკსოველი ლ. ანდიაშვილი მუშაობს დაზგაზე, რომელზეც ტრიკოტაჟის ქსოვილი მზადდება.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ხალხთა მეგობრობის დროშით

წარმოებაში განმტკიცებული მეგობრობა

მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში განთქმულია დაშქესანის რკინის მადნის მაღაროები. დღითიდღე იზრდება მადნის გამოღება, სრულყოფილი ხდება მაღაროების მექანიზაცია. დაშქესანელ მაღაროელებთან ახლა ინერგება საჰაერო-საბაგირო გზები, მიმდინარეობს მათი მონტაჟი, ათვისება.

საჰაერო-საბაგირო გზებით მდიდარია ჭიათურა. ჩვენს მაღაროელებს მათი ჭიათურული დიდი გამოცდილება აქვთ. ამ მხრივ ჭიათურელებს მთელ საბჭოთა კავშირში იცნობენ.

ახალი საჰაერო-საბაგირო გზების მონტაჟისა და ათვისებისათვის დაშქესანელმა ამხანაგებმა მჭიდრო საწარმოო მეგობრობა დაამყარეს ჭიათურელებთან. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ცენტრალური მექანიკური სახელოსნოს კოლექტივი დაშქესანელი მეგობრებისათვის ამზადებს საჰაერო გზის ცალკეულ ნაწილებს, ლითონის კონსტრუქციებს. ჩვენი სპეციალისტები მიწვეული არიან დაშქესანში საჰაერო გზების მონტაჟსა და ათვისებაში დახმარებისათვის.

მაისიდან ჭიათურაში იმყოფება დაშქესანელთა ჯგუფი თხუთმეტი კაცის შემადგენლობით. აზერბაიჯანელი ამხანაგების მიზანია დაწვრილებით შეისწავლონ საჰაერო გზები. აქ მოამზადებენ ცვლის უფროსებს, საჰაერო გზების მემანქანეებს, ზეინკლებს. მათთან თეორიულ მეცადინეობას ატარებს გამოცდილი ინჟინერ-მექანიკოსი შ. რიეამაძე, ხოლო პრაქტიკულად ასწავლის ლენინის სახელობის მაღაროს საჰაერო გზის უფროსი, მექანიკოსი ვ. გუბენკო.

დაშქესანელმა მეგობრებმა უკვე გულმოდგინედ შეისწავლეს საჰაერო გზების მუშაობის პრინციპი და მატერიალური ნაწილი. გაეცნენ საჰაერო გზებისა და სადგურების სახეებსა და კონსტრუქციებს, ხაზებსა და ამძრავ მანქანებს, ისტორიას და მნიშვნელობას. განსაკუთრებული მონდომებით სწავლობენ გ. მამედოვი, გ. მელიქიანი, ი. ჰეიდარ-ოღლი, ტ. ბაირამოვი და სხვები.

გარდა საჰაერო გზების მუშაობის გაცნობისა აზერბაიჯანელებმა მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს ქართველ მაღაროელებთან. ეს მეგობრობა კვლავაც განმტკიცდება და გაძლიერდება.

ამ დღეებში დაშქესანელი მეგობრები მდიდარი შთაბეჭდილებებითა და დაუვიწყარი მოგონებებით დაბრუნდნენ.

პ. ჭიოკაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ზრუნვა სარეწაო კოოპერაციის წევრთა კეთილდღეობისათვის

საქართველოს სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის არტელების გაერთიანების შემდეგ საქართველოს სარეწაო დაზღვევის საბჭოს მუშაობა შესამჩნევად გაიზარდა.

მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებულია 20 მილიონი მანეთის ათვისება, აქედან სოციალურ დაზღვევაზე, კულტურულ მომსახურებაზე, პენსიებზე და სხვ. 14 მილიონი მანეთი, კაპიტალურ მშენებლობაზე — 6 მილიონი მანეთი.

საქართველოს სარეწაო დაზღვევის საბჭოს ქობულეთში აქვს საკუთარი დასასვენებელი სახლი, რომელიც სეზონში 2.600 დამსვენებელს გაატარებს. წყალტუბოში შენდება 200-საწოლიანი სანატორიუმი, რომელიც მომავალი წლიდან გაიხსნება. აქვეა დროებით გახსნილი სანატორიუმი 75 საწოლით. ამავე საბჭოს ხარჯზე მოქმედებენ მუდმივი საბავშვო ბაღები და ბაგები თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რაიონში; გახსნილია პიონერბანაკები კოჯორში, ახალქალაქში, სურამში და შორეულ საბავშვო გამაჯანსაღებელი ბაღები — კოჯორში, სურამსა და ქობულეთში, გამაჯანსაღებელი საზაფხულო მოედნები — თელავში, ბათუმში, გორში, ქუთაისსა და ფოთში.

ვ. გოგელაური.

საგაზეთო თემაზე

ეროვნული ჩაის კრეფა და რაიონული გაზეთები

— ჩვენი რაიონული გაზეთი „ავანგარდი“, მართალია, წერს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებაზე, მაგრამ ხშირად ერთსა და იმავე ადამიანებს ეხება. რაიონის კოლმეურნეობებში მრავალი მოწინავე კოლმეურნეა, მათ შეუძლიათ რაიონული გაზეთის საშუალებით მოუთხრონ სხვებს თავიანთი მუშაობის მეთოდებზე. ეს დიდად შეუწყობს ხელს რაიონის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაჩაღებას, — ასეთი შენიშვნები გააკეთა ჩაის უხვი მოსავლის ოსტატმა ტატიანა ტყებუჩავამ თავის წერილში, რომელიც დაიბეჭდა ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „ავანგარდში“ გაზეთის მე-2.000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ ორ თვეზე მეტი გავიდა. „ავანგარდმა“ გარკვეული ნაბიჯი გადადგა მუშაობის გაუმჯობესებისათვის. გაზეთის ფურცლებზე უფრო მეტად გამოჩნდა წერილები მოწინავე მეჩაიეებზე. გარდა ამისა, თითქმის ყოველ ნომერში შეხვდებით კორესპონდენციებს, რომლებიც აკრიტიკებენ ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს.

ორთვენახევრის მანძილზე გამოსულ ნომრებში ჩაის ფოთლის კრეფის საკითხებზე 70-ზე მეტი კორესპონდენცია და 4 მოწინავე წერილი დაიბეჭდა. ამით „ავანგარდის“ რედაქცია მნიშვნელოვნად დაეხმარა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ჩაის მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებისათვის საბრძოლველად საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა დარაზმვაში.

მაგრამ „ავანგარდს“ ჩაის საკითხების გაშუქებაში ჯერ კიდევ აქვს ჩრდილოვანი მხარეები. გაზეთმა დღემდე ვერ უზრუნველყო მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილების სისტემატური და ფართოდ ჩვენება. ეს მაშინ, როცა რაიონში არიან მოწინავე მეჩაიეები, როგორც მაგალითად, ტატიანა ტყებუჩავა, მანანა ნორაკია, ნინო ელიავა, ვენერა ქვარცხავა, ციალა თოდუა, ლუსია შუტლია და სხვები. მათი დადებითი მუშაობის მეთოდები და ხერხები გაზეთს საფუძვლიანად არ გაუცვნია თავისი მკითხველებისათვის. გაზეთში ხშირად იბეჭდება წერილები საერთო სათაურით „მოწინავე მეჩაიეები“, მაგრამ ისინი მეტწილად წარმოადგენენ ციფრობრივი მონაცემების რეგისტრაციას, მათში ნაჩვენები არ არის მუშაობის მოწინავე მეთოდები.

ცხაკაიელმა მეჩაიეებმა ივლისის დავალება ვერ შეასრულეს, სახელმწიფოს 198 ტონაზე მეტი ჩაი დააკლეს. აგვისტოს პირველ ნახევარშიც მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ იყო. გაზეთში მრავალი კრიტიკული წერილი დაიბეჭდა. მაგრამ რედაქციამ დაივიწყა მათი შედეგიანობისათვის ბრძოლა. თითქმის არც ერთ მათგანზე გამოხმაურება არ დაუბეჭდავს. ეს აგრეთვე იმას ნიშნავს, რომ გაზეთის სიგნალებს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ნაკლებად ეხმაურებიან.

„ავანგარდის“ რედაქციამ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, უჩვენოს მუშაობის ის მეთოდები, რითაც მეჩაიეები აღწევენ წარმატებას. კარგი იქნება, თუ გაზეთი სისტემატურად მოათავსებს მასალებს საერთო სათაურით „მოწინავეთა ტრიბუნა“.

ამჟამად გაზეთის ამოცანა ეს არის, რომ ფართოდ გააშუქოს ცხაკაიელ კოლმეურნეთა მიერ სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, სათავეში ჩაუდგეს მასების შემოქმედებითს ინიციატივას, ენერგიულად დაეხმაროს რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავებაში, მოსავლიანობის გადიდების ყველა შინაგან რეზერვის მთლიანად გამოყენებასა და კრეფაში არსებული ჩამორჩენის გამოსწორებაში.

აღგილობრივი გაზეთები მოგვითხრობენ

მეშახტეთა დასვენება

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის 50-ზე მეტმა მაღაროელმა დაისვენა და ჯანმრთელობა აღიდგინა წელს ჩვენი ქვეყნის კურორტებზე. ვენტილაციის უბნის მებიგემ ი. გერასიმჩუკმა შეეგებულება გაატარა კურორტ ქობულეთში. ამავე უბნის ცვლის უფროსმა ა. ჩერნოვმა დაისვენა ტყვარჩელის სანატორიუმში. მე-8 უბნის კომბაინ „დონბასის“ მემანქანის თანამემწემ ვ. არიფმამედოვმა ჯანმრთელობა აღიდგინა სოჭის ერთ-ერთ დასასვენებელ სახლში.

ჩვენი ქვეყნის კურორტებზე გაატარეს დასვენების დღეები აგრეთვე მეშახტეებმა ვ. კოლდაევმა, მ. კოცარევმა, მ. ტარასევიჩმა, ე. ველიჩკამ და სხვებმა, რომლებიც ახლა გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის.

„ტყვარჩელის მაღაროელი“.

ტინისხიდური ბოსტნეული

ათასფრად, ხალიჩასავით გადაშლილია გორის რაიონის სოფელ ტინისხიდის კოლმეურნეობა „გენთიადის“ ბოსტანი, რომელსაც 34 ჰექტარი ფართობი უკავია. კოლმეურნეობის მებოსტნეთა თავდადებულმა შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო, უხვად შემოსულია კიტრი, წიწაკა, ხახვი, პამიდორი.

დაიძრა ტინისხიდური ბოსტნეული გორის საკონსერვო ქარხნისაკენ. მოკლე დროში კოლმეურნეობამ ქარხანას 90 ცენტნერი კიტრის ნაცვლად 230 ცენტნერი ჩაბარა. პირველ დღეებში საკონსერვო ქარხანას გაეგზავნა აგრეთვე 45 ცენტნერი წიწაკა, 20 ცენტნერი პამიდორი.

ბოსტნეულის ჩაბარების ტემპი ყოველდღიურად მატულობს. ტინისხიდელმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულონ ბოსტნეულის ჩაბარების დავალება.

„სოციალისტური სოფელი“.

სელექციონერებთან

— სამკალად მომწიფებულ ამ ყანაში, რომელსაც დღეს გავჭრით კომბაინით, — გვითხრა ამას წინათ საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურის ხორბლის ჯგუფის ხელმძღვანელმა ამხ. გ. ლილუაშვილმა, — ჩვენთან გამოყვანილი ხორბლის ახალი პერსპექტიული ჯიშებია — „გამარჯვება“ და „კახი 6“. ნათესის მთელი ფართობი თანაბწორ ნაკვეთებად არის დაყოფილი. ამ ნაკვეთებიდან მოსაკალს ცალ-ცალკე ავიღებთ. რიგიერ „გამარჯვება“, ისე „კახი-6“ უხვმოსავლიან მაღალხარისხოვან ჰიბრიდულ ჯიშება წარმოადგენენ.

— უკანასკნელ წლებში გამოყვანილი ხორბლის ახალი ჰიბრიდული ჯიშები: „მოწინავე“, „მცხეთური“, „კოლმეურნე“, „ნარეკვავი“ და „ჰიბრიდულა“. ისინი „მშობლებისაგან“ იმით განსხვავდებიან, რომ ჰექტარზე საშუალოდ 10-15 ცენტნერით მეტ მოსავალს იძლევიან. გარდა ამისა, მათი მარცვალი უფრო მსხვილი და მრავალრიცხოვანია. აღსანიშნავია ისიც, რომ მარცვალი ადვილად არ ჩაცვივა. საუკეთესო ხარისხის ფქვილსა და პურს იძლევა. გასულ წელს ხორბლის ამ ჯიშებმა მაღალი მოსავალი — ჰექტარზე 40-42 ცენტნერი პური მოგვცეს, ხოლო საცდელ ნაკვეთზე მიღებულმა მოსავლმა ჰექტარზე 60 ცენტნერს გადააჭარბა. სადგურში გამოყვანილმა ჯიშებმა დიდი მოწონება დიამსახურეს და ისინი აღიარებულ იქნენ დარაიონების დონედ.

— ახალი ჯიშების გამოყვანას განვაგრძობთ. ამ ჯიშებისათვის, რომელთა გამოყვანაზე მუშაობა 1949 წელს დავიწყეთ და მომავალ ორსამ წელში დავამთავრებთ, სახელები ჯერ კიდევ არ დაგვრქმევია. მუშაობის წინასწარი შედეგები დამაკმაყოფილებელია, — დაამთავრა საუბარი გ. ლილუაშვილმა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშების გამოყვანა დაკვირვებულ და დინჯ მუშაობას მოითხოვს. უაღრესად სათუთ საქმეს წარმოადგენს შესაჯვარებელი ჯიშების დამტვერვის ორგანიზაცია. აუწერელ შემოქმედებითს სიხარულს განიცდის სელექციონერი გაზაფხულზე და ზაფხულში, როცა მის მიერ გამოსაყვანი მცენარე განუწყვეტლივ იზრდება და მწიფდება.

გ. ლილუაშვილთან თეთრ ხალათიანი აგროტექნიკოსი მოვიდა. მან აცნობა სადგურის თანამშრომელს, რომ დამთავრდა მოსავლის აღება თესლბრუნვის მერვე მინდორზე, სადაც მოსავლიანობამ ჰექტარზე საშუალოდ 35-40 ცენტნერს მიაღწია.

სასელექციო სადგურის დირექტორის ამხ. მ. წულუკიძის კაბინეტში გამოკრული პლაკატებს შორის ყურადღებას იპყრობს დიდი რუსი მეცნიერის ი. მიჩურინისადმი მიძღვნილი პლაკატი, რომელზეც წარწერილია ამ გამოჩენილი ადამიანის შესანიშნავი სიტყვები: „ჩვენ ვერ დავეღოდებით წყალობას ბუნებისაგან; ჩვენი ამოცანაა წავართვათ იგი მას“.

სელექციონერებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ ი. მიჩურინის მოძღვრებით, თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ სოფლის მეურნეობის დარგში ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში. მიჩურინული აგრობიოლოგიის საფუძველზე დაურდნობით, თანამედროვე მაღალი აგროტექნიკისა და სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების დადასტურებით ჩვენი სელექციონერები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ სოფლის მეურნეობისათვის მეტად საჭირო სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალ გაუმჯობესებულ ჯიშთა და სახეობათა შექმნაში. ისინი თავიანთი ბეჯითი, დაკვირვებული შრომით უზრუნველყოფენ მცენარის სასურველ ზრდას, მეტი ნაყოფიერებისაკენ წარმართავენ მის სიცოცხლეს.

ჰიბრიდიზაცია საშუალებას იძლევა ძირეულად შევცვალოთ მცენარის სტრუქტურა ადამიანის სასარგებლოდ. ამ მეთოდით აქ გამოყვანილმა ხორბლისა და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალმა ჯიშებმა თვალნათლივ ცხადყვეს თავიანთი დიდი უპირატესობა მათ წარმომშობ ჯიშებზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხორბლის ახალი ჯიშის გამოყვანისათვის გათვალისწინებული ვადა — 10-12 წელი სასელექციო სადგურში შემცირებულ იქნა 6-7 წლამდე.

სასელექციო სადგურის 17 მეცნიერი თანამშრომელი, მათ შორის პროფესორება ლ. დეკაპრელევიჩი და ვ. მენაბდე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები ვ. ჩხიკვაძე, ს. თევდორაძე, ვ. ანდროკოვიჩი, ა. იაკობაშვილი, და სხვები თვალისჩინივით უვლიან, უფრთხილდებიან და თავს დასტრიალებენ ხორბლით, ხიმინდით, კარტოფილით, პარკოსნებითა და საკვები ბალახებით ნათეს ნაკვეთებს. ატარებენ საინტერესო ცდებსა და ჩანაწერებს მცენარეთა გაჯარების მიმდინარეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სასელექციო სადგურს 250 ჰექტარი აქვს დათმობილი მუხრანის ვრცელ ველზე წილკანსა და ნატახტარს შუა, მიწის ეს დიდი მასივი მას მაინც არ ჰყოფნის.

დ. ბუზუკაშვილი.

კრიტიკის მსხვერპლნი

აფხაზდასახლებამშენის ტრესტის ცენტრალურ გარაჟში რამდენიმე წელია გამეფებულია უწესრიგობა. ირღვევა შრომის დისციპლინა. გარაჟი ვერ ასრულებს ტვირთების გადაზიდვის გეგმას. არის საწვავის გადახარჯვა: მარტო გასულ წელს გადაიხარჯა 37 ათასი ლიტრი ბენზინი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში — 6 ათასი ლიტრი. არის მანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევები. ჯადრების შერჩევასა და შენარჩუნებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. მაგალითად, წელს სამუშაოდან დათხოვნილია 30 კაცი. ტრესტის ხელმძღვანელობა არათუ არ ზრუნავს გარაჟში არსებული უწესრიგობის აღმოსაფხვრელად, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს ამ უწესრიგობას. ტრესტის ხელმძღვანელობის მითითებით გარაჟის მუშაკები არასწორ ოპერაციებს ასრულებენ. ხოლო თუ ვინმე გაბედავს ასეთი მოქმედების წინააღმდეგ ხმის ამოღებას, მას სამუშაოდან ათავისუფლებენ ან ხსნიან. ასე მოუვიდა, მაგალითად, გარაჟის ყოფილ უფროსს ამხ. კ. ლაშხარავას.

როცა ლაშხარავა გარაჟის უფროსად დანიშნეს, იგი შეეცადა წესრიგი დაემყარებინა გარაჟში, მაგრამ ეს ცდა ამაო გამოდგა. იგრძნეს თუ არა, რომ აღარ შეეძლოთ ძველებურად ემოქმედნათ, ტრესტის ხელმძღვანელები ყოველნაირად შეეცადნენ ხელი შეეშალათ ლაშხარავასთვის მუშაობაში.

ლაშხარავამ პირველეს ყოვლისა ყურადღება მიაქცია საწვავის ხარჯვას. აღმოჩნდა, რომ საწვავი მნიშვნელოვანი რაოდენობით გადახარჯული იყო ტრესტის მმართველ შ. გვაზავას სიტყვიერი განკარგულებებით. ამ განკარგულებათა მიხედვით საწვავი მიჰქონდათ სხვადასხვა ორგანიზაციებსა და კერძო პირებს. თვით გვაზავას განკარგულებაში მყოფმა მსუბუქმა მანქანამ მარტო ორ თვეში (მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში) გადახარჯა 650 კილოგრამზე მეტი ბენზინი.

მაისში გარაჟის უფროსმა კ. ლაშხარავამ და გარაჟის უფროსმა ბუხჰალტერმა ბენზინის გადახარჯვის შესახებ წერილობითი მოხსენება წარუდგინეს ტრესტის უფროსს გვაზავას, იმ იმედით, რომ ბოლო მოეღებოდა ამ უმსგავსებას. გვაზავამ მოხსენებით ბარათს „მკაცრი“ რეზოლუცია დაადო, რითაც აუკრძალა გარაჟის უფროსს ნორმის ზევით ბენზინის გაცემა. მაგრამ იქვე მოხსენებითი ბარათის ავტორებს წინადადება მისცა დაეწერათ განცხადება და „კარგი გულით“ წასულიყვნენ გარაჟიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსნით დაემუქრა.

ამხ. ლაშხარავამ შეასრულა ტრესტის უფროსის ბრძანება. აკრძალა ნორმის ზევით საწვავის გაცემა, ხოლო მისი წინადადება სამუშაოდან წასვლის შესახებ არ შეასრულა. მუშაკის „ურჩობით“ განაწყენებულმა გვაზავამ გადაწყვიტა რადაც არ უნდა დაჯდომოდა ლაშხარავა თავიდან მოეცილებინა. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაიჩქარა გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ მიმდინარე წლის 19 მაისის ნომერში დაბეჭდილმა კრიტიკულმა წერილმა „ავტოტრანსპორტის სწორად გამოყენებისათვის“. წერილში მკაცრად იყო გაკრიტიკებული ტრესტის მმართველი გვაზავა. მან ექვი ლაშხარავაზე მიიტანა და ოთხი დღის შემდეგ — 23 მაისს კიდევაც მოხსნა იგი სამუშაოდან ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, შეკოწიწებული ბრალდებებით.

ამხ. ლაშხარავას განცხადების საფუძველზე საქმეში ჩაერია პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. დ. ქაძანაია. გვაზავას ეს არ მოეწონა და უდანაშაულო კომუნისტის მხარეზე დამდგარ პარტორგანიზაციის მდივანს ასე განუცხადა: ლაშხარავამ ნაცვლად იმისა, რომ ჩემთვის ესიამოვნებინა, კრიტიკა დამიწყო, მაგრამ კარგი „რეცეპტი“ გამოუწერე. ვატყობ შენც კრიტიკოსი ყოფილხარ და ამიტომ გულნაკლულად არ დაგტოვებ, შენც მას მიგაყოლებო.

პარტორგანიზაციის მდივანი მუქარას არ შეუშინდა. მან გვაზავას არაკომუნისტური საქციელის შესახებ წერილობით აცნობა პარტიის სუხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. ი. გვილაჯას. საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორმა ამხ. ურიდიამ დ. ქაძანაიას განცხადების შინაარსი ტრესტის მმართველს გვაზავასა და მთავარ ინჟინერს შ. ლომთათიძეს აცნობა. ამ უკანასკნელებმა იერიში ახლა ქაძანაიაზე მიიტანეს და კიდეც გაიტანეს თავისი. უფროსთა ბრძანების შეუსრულებლობის მოტივით ამხ. ქაძანაია 18 ივნისს ავტოკოლონის უფროსის თანამდებობიდან მოხსნეს ის, რომ საკითხი პარტიის საქალაქო კომიტეტისთვის არ შეუთანხმებიათ, თან უთხრეს: ყველა არამკითხე მეტიჩარა კრიტიკოსს ასე მოუვალ.

მას შემდეგ შ. გვაზავა და შ. ლომთათიძე თავს არხეინად გრძნობენ. მათ წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს. ტრანსპორტსა და საშვავის ისე განაგებენ, როგორც საკუთარ ქონებას.

საინტერესოა პარტიის საქალაქო კომიტეტის პოზიცია. ამ საქმის თაობაზე საქალაქო კომიტეტში შესული განცხადების სისწორის შემოწმება საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორს ამხ. ურიდიას დაეკალა. მან იმდენი „ოპერატიულობა“ გამოიჩინა, რომ საქმის შესწავლა ორ თვეზე მეტ ხანს გააჭიანურა. ბოლოს მაინც დარწმუნდა ლაშხარავასა და ქაძანაიას სიმართლეში, მაგრამ რატომღაც უცნაურად დაიჭირა თავი; გამოიძახა ორივე თავის კაბინეტში და ასე უთხრა: თქვენ მართალი ხართ, მაგრამ გვაზავა და ლომთაძე ხელმძღვანელი მუშაკები არიან, ასეთ პატარა საქმეზე არ ღირს მათი წყენინება, თქვენ თვითონ მიდით მათთან, აღიარეთ თქვენი დანაშაული, შიძლება გაპატიონ და სამუშაოზე დაგაბრუნონონ.

როგორც ამბების შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორის ამ „გულითადმა“ რჩევამ ნაყოფი არ გამოიღო. ლაშხარავა და ქაძანაია დღესაც უმუშევრები არიან.

ყველაფერი ეს უცნაურია, მაგრამ მაინც ფაქტია. ვფიქრობთ, რომ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი სათანადო მსჯავრს გამოუტანს კრიტიკის მდევნელებს და მათს მფარველებს.

გ. წიწილავა.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ქარხნის ტექნიკური ბიბლიოთეკა. აქ წიგნის თაროებზე სხვადასხვა დარგის 12.000-ზე მეტი სამეცნიერო-ტექნიკური წიგნია. **სურათზე:** ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტექნიკურ ბიბლიოთეკაში.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ხელოვნების ქრონიკა

1952 წლის საკავშირო სამხატვრო გამოფენის განხილვა

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სამხატვრო გამოფენათა და პანორამათა დირექციამ და საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირმა ამ დღეებში მოაწყეს განხილვა 1952 წლის საკავშირო სამხატვრო გამოფენისა, რომელიც დემონსტრირებული იყო თბილისში.

განხილვა გახსნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების სექციათა მთავარი სამმართველოს უფროსმა შ. ბუაჩიძემ, რომელმაც განხილვაზე შეკრებილთ გააცნო ის დიდი წარმატება, რაც საქართველოს დედაქალაქში ხვდა 1952 წლის სამხატვრო საკავშირო გამოფენის ჩვენებას.

საკავშირო სამხატვრო გამოფენა, — თქვა შ. ბუაჩიძემ, — თბილისში მოიწყო სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ინიციატივით. ამ ღონისძიებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია საქართველოს საზოგადოებრივობაში. ნაცვლად ერთი თვისა გამოფენამ ორ თვეს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში იგი ინახულა 296 ათასმა კაცმა, ხოლო ფილიალთან ერთად, სადაც მოთავსებული იყო გრეკოვის სახელობის სტუდიის სამხედრო მხატვართა ბრიგადის მიერ შესრულებული დიორამა „სუვოროვის ლაშქრობა ალპებში“ — 537 ათასმა კაცმა.

შემდეგ ხელოვნებათმცოდნე ტ. არმანდმა გააკეთა მოხსენება გამოფენილ ნაწარმოებთა შესახებ. ამხ. არმანდმა აღნიშნა, რომ მრავალი მაყურებლის ყურადღების ცენტრში იყო ორი სურათი — ფ. რეშეტნიკოვის „ისეთ ორიანნი“ და ა. ლაქტიონოვის „ახალ ბინაზე“. მაგრამ მომხსენებელს უნდა ვუსაყვედურო, რომ იგი რატომღაც დაწვრილებით არ შეჩერდა ა. ლაქტიონოვის სურათის სერიოზულ ნაკლოვანებათა პრაფესიულ გარჩევაზე, რითაც საზოგადოებრიობას არ მისცა ორიენტაცია ამ სურათის სწორი შეფასებისათვის, არამედ, პირიქით, გამოიწვია მის გარშემო დაესრულებელი, მაგრამ ნაკლებად ნაყოფიერი კამათი.

ტ. არმანდის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათმა კაცმა.

ეს დიდი წამოწყებაა, — განაცხადა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა პროფესორმა შ. ამირანაშვილმა, — რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ზრდაში. სამწუხაროა, რომ ამ შესანიშნავ გამოფენაში არ არის ქართველ მხატვართა ნამუშევრები. შ. ამირანაშვილმა, ისევე როგორც ყველა სხვა გამოსულმა, აღნიშნა საზოგადოებრიობის ფართო ფენების ინტერესი გამოფენისადმი. ამავე დროს გააკრიტიკა რა ა. ლაქტიონოვის სურათი „ახალ ბინაზე“, შ. ამირანაშვილმა აღნიშნა, რომ თუმცა საბჭოთა ხელოვნებაში ფორმალიზმი ძირითადად დაძლეულია, მაგრამ ზოგიერთი მხატვარი იჩენს მიდრეკილებას ნატურალიზმისადმი. ეს უარყოფითი ელემენტები მკაფიოდ იგრძნობა ა. ლაქტიონოვის სურათში.

საინტერესო იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კინორეჟისორ კოტე მიქაბერიძის გამოსვლა.

შეეხო რა გამოფენის ცალკეულ სურათებს, მან მაღალი შეფასება მისცა დიორამას „სუვოროვის ლაშქრობა ალპებში“ და სურვილი გამოთქვა, რომ ქართველმა მხატვრებმა შექმნან ასეთი ნაწარმოები კავკასიის გმირული დაცვის ეპიზოდების მიხედვით.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარემ ვ. თოფურიძემ დაწვრილებით დაახასიათა გამოფენის სკულპტურული ნაწილის ღირსება-ნაკლოვანებანი.

მაყურებელთაგან გამოვიდნენ ამერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ინჟინერი ტ. ნუნკანა, თბილისის მექანიკური ქარხნის მოსამსახურე მ. კალანდაძე და სხვები. თვითეულმა მათგანმა გაუზიარა დამსწრეთ თავისი შთაბეჭდილებანი.

გამოფენის ორგანიზატორთა სახელით გამოვიდნენ გამოფენის დირექტორი კ. ზელენინი და კონსულტანტი გ. სახაროვა. მათ აღნიშნეს გამოფენის უდიდესი წარმატება, რომელმაც ყოველ მოლოდინს გადააჭარბა, და მადლობა უძღვნეს საქართველოს რესპუბლიკის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გულთბილ, სტუმართმოყვარული მიღებისათვის.

საერთაშორისო თემაზე

შუბი ხალთაში არ დაიმალება

უკვე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც საერთაშორისო პროექციის ცენტრმა ოკეანეს გალმა — ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაინაცვლა. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები მსოფლიო ბატონობის განხორციელების მიზნით თავის გარშემო იკრებენ ყველაზე აღვირახსნილ რეაქციონერებს. ამ „თბილ კომპანიაში“ არიან ნაცემი გენერალისიმუსი ჩან კაიშიც, ესპანელი ხალხის ჯალათი ფრანკოც, თურქი იანიჩარებიც და ლისინმანელი ბანდიტებიც. ამერიკელი იმპერიალისტები თავიანთ აგრესიულ გეგმებში „სპპატიო“ ადგილს უთმობენ ტიტოსაც.

თუმცა იუგოსლავია ფორმალურად არ ირიცხება აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში, რომელსაც სათავეში უდგანან ამერიკის შეერთებული შტატები, მაგრამ მოვლენათა მთელი მსვლელობა და განსაკუთრებით უკანასკნელი დროის ამბები ცხადყოფენ, რომ ეს მხოლოდ პოლიტიკური მანევრია. ამ მანევრის მიზანი ორნაირია: ჯერ-ერთი, გაუფანტონ შიში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სხვა წევრებს, კერძოდ, იტალიას, რომელსაც ვერ გადაუგრია თავისი დავა იუგოსლავიასთან ტრიესტის საკითხზე, და მეორეც, შესაძლებლობა მისცენ ტიტოს განაგრძოს თავისი ვითომდა „ანტიიმპერიალისტური“ დემაგოგია, რათა საბოლოოდ არ იქნას მხილებული მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დამჭაში.

მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალება. დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის დასანახავად, რომ თუ იუგოსლავიისათვის ახლანდელ ეტაპზე ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის პარადული კარი დახურულია, სამაგიეროდ უკანა კარიდან იგი ხშირად შეიხედავს ხოლმე იქ.

მივმართოთ ფაქტებს. 28 თებერვალს ანკარაში ხელი მოაწერეს სამმხრივ ხელშეკრულებას იუგოსლავიასა, საბერძნეთსა და თურქეთს შორის, ეგრეთწოდებულ ბალკანეთის პაქტს. როგორც ცნობილია, საბერძნეთი და თურქეთი ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრები არიან. ამიტომ მათ და იუგოსლავიას შორის დადებული ბალკანეთის პაქტი არსებითად გადაიქცა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის რეგიონალურ განშტოებად. ამის დაფარვა საჭიროდ არ ჩათვალეს თვით ხელშეკრულების ტექსტში, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ მხარეების მიერ მიღებული ვალდებულებანი შეიძლება „შეთავსებულ იქნას ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მიმართ გათვალისწინებულ ვალდებულებებთან“.

შეეხო რა თურქეთს, საბერძნეთსა და იუგოსლავიას შორის დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობას, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კეპრიულიუმ გულახდილად აღიარა, რომ „სამთა შეთანხმების დადება დიდ სარგებლობას მოუტანს არა მარტო ამ სამ სახელმწიფოს, არამედ მთელ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირსაცო“. თუ კეპრიულიუს განცხადებას დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბალკანეთის პაქტის სამხედრო მიზნების დასაფინანსებლად 500 მილიონი დოლარი გამოაყოფს და რომ ამ პაქტის სამხედრო ოქმები მოსაწონებლად წარედგინება ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირს, სავსებით ცხადი გახდება, რომ ეს ბალკანეთის პაქტი მხოლოდ ნაწილია ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტისა, თუმცა იუგოსლავია უშუალოდ არ მონაწილეობს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში.

7-დან 11 ივლისამდე ათენში მიმდინარეობდა იუგოსლავიის, თურქეთისა და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი თათბირი, რომელზეც შემუშავებულ იქნა ზემოხსენებული სამხედრო ოქმები. თათბირმა ცხადყო, რომ მიუხედავად ლაყბობისა ბალკანეთის პაქტის „თავდაცვითი“ [illegible] მისი მიზანია განახორციელოს ამ რაიონში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის აგრესიული გეგმები, რომლებიც მიმართულია უწინარეს ყოვლისა ალბანეთის და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.

დასასრულ, 19 ივლისს იუგოსლავიის გაზეთმა „ბორბამ“ დაუფარავი აღტაცებით გამოაცხადა, რომ აგვისტოში ვაშინგტონს მოლაპარაკებათვის წავა იუგოსლავიის სამხედრო მისია. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ვაშინგტონის თათბირზე. ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის მიერ ანკარიდან გადმოცემული ცნობით, ფაქტორი, რომელმაც მიაღებინათ ეს გადაწყვეტილება, „გახდა თურქეთის დაეინებითი სურვილი — განმტკიცდეს ურთიერთობა იუგოსლავიასა და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირს შორის“. კორესპონდენტი აზუსტებს, რომ ივულისხმება სწორედ „სამხედრო ურთიერთობა“, რაც მიმართულია ბალკანეთის პაქტისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საომარი გეგმების კოორდინაციისაკენ.

ტიტო და მისი ამალა დაუფარავი სიხარულით გამოეხმაურნენ ვაშინგტონის გამოწვევას და სასწრაფოდ დაიწყეს სათანადო სამხედრო მისიის შედგენა. კომენტარს უკეთებდა რა იუგოსლავიის მიერ მიწვევის მიღებას, ხოლო უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ვაშინგტონის მიერ გაწვევას, რეიტერის სააგენტო იუწყებოდა, რომ სამხედრო სპეციალისტთა აზრით, „იუგოსლავიის მიერ ამ მიწვევის მიღება გარდუვალად კიდევ უფრო ხდის მას ევროპაში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის თავდაცვითი სტრატეგიის მოსაწილედ... ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ხომალი გეგმების თვალსაზრისით, ზაზგასმით აღნიშნავს რეიტერის სააგენტო, — იუგოსლავია მნიშვნელოვანი რგოლია იმ სტრუქტურაში, რომელიც შექმნეს მოკავშირეებმა“, ე. ი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ამერიკა-იუგოსლავიის მომავალი მოლაპარაკება ვაშინგტონში მიზნად რომ ისახავს უფრო მეტ სამხედრო დაახლოებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ტიტოს შორის, ამას მოწმობს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტის სულცბერგერის ცნობაც. იგი წერს, რომ იუგოსლავიის რეგიონალური გეგმები „მთელი ატლანტიკის კავშირის მხარდაჭერას ჰპოვებენ“.

თუმცა სავსებით აშკარაა, რომ იუგოსლავია ფაქტიურად უკვე ჩაბმულია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში, ამერიკის ხელისუფლებმა, თავიანთი იტალიელი ვასალის დასაბრუნებლად, აქაც განაცხადეს საბელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის უილტის პირით, რომ „ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანოებს კავშირი არა აქვთ ამ მოლაპარაკებასთან, რამდენადაც იუგოსლავია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრი არ არის“. მაგრამ, როგორც მელანქოლიურად აღნიშნა იტალიურმა გაზეთმა „რომამ“, „ახლა ნაკლები იმედია, რომ მოლაპარაკება, რომელიც ეხება ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში იუგოსლავიის შეყვანას, შეიძლება შეაჩეროს იტალიის ვეტომ“.

ნათქვამია, „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარო“. ზემოთ მოყვანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირსა და ტიტოელებს შორის არსებობს დამნაშავეთა ურთიერთთავდებობა. სწორედ ამიტომ ამ ფაქტების მიხედვით, სასაცილოდ მოჩანს ტიტოელთა ცდები — დამალონ თავიანთი ფაშისტური არსი და კვლავ გამოვიდნენ დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალიზმის დამცველთა როლში.

ამაო ცდებია. შუბი ხალთაში არ დაიმალება!

მ. სტურუა.

უცხოეთის გამოხმაურება

მთავრობის ცნობაზე საბჭოთა კავშირში წყალბადის ბომბის გამოცდის შესახებ

მთავრობის ცნობამ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში საცდელად მოხდა ერთ-ერთი სახეობის წყალბადის ბომბის აფეთქება, მრავალი გამოხმაურება გამოიწვია საზღვარგარეთ.

პრაგრესული პრესა, აქვეყნებს რა თავის ფურცლებზე ამ ცნობას, კმაყოფილებას გამოთქვამს, რადგან იგი მიიჩნია საბჭოთა კავშირის ძლიერების დამადასტურებლად და მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის გამარჯვებად. პრესაში აღნიშნულია, რომ ცნობა წყალბადის ბომბის გამოცდის შესახებ ლახვარს სცემს იმ აგრესიულ წრეებს, რომლებიც თავიანთ პოლიტიკას ამყარებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიაზე ატომური ბომბისა და წყალბადის ბომბის მფლობელობაში.

მაგალითად, ჩინეთის გაზეთი „სინ-ვენ-ჟიბაო“ სტატიაში „გამოვაფხიზლოთ ომის თავგახურებული გამჩაღებლები“ წერს, რომ „საბჭოთა კავშირის მთავრობის განცხადება წყალბადის ბომბის გამოცდის შესახებ, რაც გამოქვეყნდა საბჭოთა პრესაში, წამლის ეფექტიანი დოზაა ომის თავგახურებულ გამჩაღებელთა გამოსაფხიზლებლად. გონებაჩლუნგი ჯენტლმენებისათვის, რომელთაც ბრმად სჯერათ ძალის „ძლიერება“ და ახალ სამხედრო ავანტიურაზე ოცნებობენ, ეს განცხადება დროული და ძლიერი გაფრთხილებაა“.

ინგლისურმა გაზეთმა „დეილი უორკერმა“ ამ თემას უძღვნა სარედაქციო სტატია, რომელშიც ნათქვამია: „ის ფაქტი, რომ ამერიკის ნავარაუდევი მონოპოლია წყალბადის ბომბზე ახლა მოისპო, სასარგებლოა მშვიდობის საქმისათვის და ახალ იმპულსს აძლევს ატომური იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლას“.

საბჭოთა მთავრობის ცნობა ერთ-ერთი სახეობის წყალბადის ბომბის გამოცდის შესახებ, შენიშნავს ვარშავის გაზეთი „ექსპრეს ვეჩორნი“ არა მარტო სპობს მითს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები წყალბადის ბომბის მონოპოლისტები არიან, არამედ ლახვარსაც სცემს ახალი ომის ორგანიზატორთა მზაკვრულ კომბინაციებს.

ცნობას საბჭოთა კავშირში წყალბადის ბომბის გამოცდის შესახებ გაცხოველებით უკეთებენ კომენტარს ბურჟუაზიული პრესა და ბურჟუაზიულ მთავრობათა ოფიციალური წარმომადგენლები.

ბევრმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა, რომლებიც დაბნეულობას იჩენენ და აშკარად ცდილობენ როგორმე დაამცირონ წყალბადის ბომბის შესახებ საბჭოთა მთავრობის ცნობის მნიშვნელობა, ეჭვი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირს ჰქონდეს წყალბადის ბომბის წარმოების საიდუმლოება.

მაგალითად, კანადის გაზეთმა „სიტიზენმა“ 10 აგვისტოს პირველ გვერდზე დაბეჭდა დიდი სათაური „საეჭვოა, რომ სსრ კავშირს წყალბადის ბომბი გაეკეთებინოს“. გაზეთმა შემდეგ დაბეჭდა კანადიელ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ამერიკელ სპეციალისტებს საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირს ამჟამად გაეკეთებინოს ერთ-ერთი ეს საშინელი ბომბი“.

იგივე აზრი გამოთქვა თავის სარედაქციო სტატიაში ამერიკის გაზეთმა „უოლ-სტრიტ ჯორნელმა“, რომელიც წერდა: „ატომის ენერგიის დარგის ჩვენს სპეციალისტები ერთგვარად საეჭვოდ ხდიან ამ განცხადებას, რადგან, ამბობენ ისინი, რამდენადაც ჩვენ ვიცით, წყალბადის ბომბის აფეთქების არავითარი ნიშანი არ ყოფილა“.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მთავრობის ცნობამ საბჭოთა კავშირში წყალბადის ბომბის გამოცდის შესახებ საძნელო მდგომარეობაში ჩააყენა ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე, რომელნიც სულ ცოტა ხნის წინათ სკეპტიკიზმს გამოთქვამდნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის გ. მ. მალენკოვის განცხადების გამო იმის შესახებ, „რომ შეერთებული შტატები მონოპოლისტები არ არიან არც წყალბადის ბომბის წარმოებაში“.

მაგალითად. ინგლისის რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჯერ კიდევ 12 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა განაცხადა, რომ „მისი მთავრობა სკეპტიკურად იკიდებს რუსეთის ამ მტკიცებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი, შესაძლებელია, არარაობად აქცევს უპირატესობას ატომის ენერგიის დარგში“, რაც დღემდე დასავლეთს ჰქონდა.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, ატომის ენერგიის საკითხთა კონგრესის გაერთიანებული კომისიის თავმჯდომარემ კოულმა კომისიის წევრებს აცნობა კომისიის საგანგებო სხდომის მოწვევა იმ „მომენტში, როცა მეთვალყურენი, რომლებიც მეცნიერულ საკითხებზე მუშაობენ, გამოთქვამდნენ აზრს, რომ რუსეთმა, შესაძლებელია, გამოძებნა წყალბადის ბომბში ატომგულის რეაქციის განხორციელებას უფრო ქმედითი ხერხი, ვიდრე შეერთებულმა შტატებმა“. უფრო გვიან სხვა განცხადებაში კოულმა, როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ნათლად აგრძნობინა, რომ არ უნდა შევამციროთ საბჭოთა წყალბადის ბომბის მნიშვნელობა“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, ეწევა რა თავის ჩვეულებრივ საგაზეთო შანტაჟს და სურს რა გაავრცელოს შეშფოთება, ცდილობს დაარწმუნოს თავისი მკითხველები. ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირი ფლობს წყალბადის ბომბის წარმოების საიდუმლოებას, თითქოს საფრთხეს წარმოადგენს ხალხთა მშვიდობიანი არსებობისათვის. გაზეთი წერს: „წყალბადის ბომბის აფეთქება საბჭოთა კავშირში შეერთებული შტატების წინაშე, ისევე როგორც მთელი დასავლეთის კავშირის წინაშე, რომლის საფუძველი ჩვენი ქვეყანაა, აყენებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხს. პირველი პრობლემა, — განაგრძობს შემდეგ გაზეთი, — რომელიც, როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე წამოიჭრება, დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ შეერთებულ შტატებს აქვთ უფრო მეტი და უფრო სარწმუნო ობიექტები წყალბადის ბომბით განადგურებისათვის, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანას“.

ნიუ-იორკში გამომავალი გაზეთ „დეილი ნიუსის“ სიტყვით, იმის დადასტურება, რომ საბჭოთა კავშირს აქვს წყალბადის ბომბი, „არ არის კარგი ცნობა და, ალბათ, ერთადერთი რამ, რაც ჩვენ შეგვიძლია ვქნათ, ის არის, რომ განვაგრძოთ შეიარაღება“.

მაგრამ ბურჟუაზიულ პრესაში სულ უფრო ხშირად გაისმის სხვა, უფრო ფხიზელი ხმებიც.

მაგალითად, ფრანგული გაზეთი „მონდი“, იუწყება რა საბჭოთა კავშირში წყალბადის ბომბის გამოცდას, აღნიშნავს: „სსრ კავშირი ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მსოფლიო არ უნდა შეშფოთდეს იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთს აქვს წყალბადის ბომბი. როცა საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა, რომ მას აქვს ატომური ბომბი, კომუნიკეში დაარწმუნა მთელი ესოფლიო, რომ იგი არ უნდა შეშფოთდეს და რომ რუსეთმა გადაწყვიტა განაგრძოს ბრძოლა მასობრივი ნგრევის იარაღის გამოყენების აკრძალვისათვის“.

ამავე აზრს ხაზგასმით აღნიშნავს ინგლისური გაზეთი „ივნინგ ნიუსი“, როელიც 20 აგვისტოს სარედაქციო სტატიაში წერს:

„რუსეთი თავის ცნობას წყალბადის ბომბის აფეთქების შესახებ დასძენს ნუგეშის სიტყვებს, რომ დასავლეთს არავითარი საფუძველი არა აქვს შეშფოთებისათვის, იმიტომ რომ საბჭოთა კავშირი ახორციელებს სამშვიდობო პოლიტიკას. შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ რუსეთი მართლაც ფიქრობს იმას, რასაც ამბობს... არის იმის ბევრი დამამტკიცებელი საბუთი, რომ რუსეთი არ ესწრაფვის საერთაშორისო კონფლიქტს“.

საბჭოთა კავშირში წყალბადის ბომბის გამოცდის გამო საბერძნეთის გაზეთი „ალაგი“ წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ წყალბადის ბომბი აქვს, საბჭოთა კავშირი აცხადებს, რომ იგი განახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას. წყალბადის ბომბის გამოცდამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა დასავლეთ სამყაროზე“.

კომენტარს უკეთებს რა ცნობას საბჭოთა კავშირში წყალბადის ბომბის გამოცდის შესახებ, ინდოეთის გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ აღნიშნავს:

„ახალი ცვლილება ატომის ენერგიის ბალანსში ხელს უწყობს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას ატომის ენერგიაზე, რომელიც აზრუნველყოფდა მის გამოყენებას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით“.

ინგლისის გაზეთის „ნიოს ქრონიკლის“ კორესპონდენტი კამინგსი წერს, რომ „მხოლოდ გადაუჭრელი პოლიტიკური პრობლემების მოწესრიგებას, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია გერმანიის პრობლემა, შეუძლია მოამზადოს ნიადაგი განიარაღების შესახებ შეთანხმებისათვის, რომელიც შეიცავს კონკრეტულ და უფრო ძნელად მისაღწევ შეთანხმებას ომში წყალბადის ბომბის გამოყენებისადმი კონტროლის შესახებ“.

აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა კავშირს, აქვს ატომური და წყალბადის იარაღი, რასაც ცვლილება შეაქვს საერთაშორისო ვითარებაში, და ითვალისწინებს რა საერთაშორისო გამოხმაურებას სსრ კავშირში გამოქვეყნებულ მთავრობის ცნობაზე, ამერიკის ზოგიერთი გაზეთი, ომასთან ერთად, რომ მოუწოდებს გაძლიერონ გამალებული შეიარაღება, იძულებულია აღიაროს, რომ დადგა შესაფერი მომენტი ატომური და წყალბადის იარაღის, როგორც მასობრივი მოსპობის იარაღის, დაგმობისათვის.

მაგალითად, სარედაქციო სტატიაში „ვაშინგტონ პოსტს“ მიაჩნია, რომ ახალ მოვლენათა გამო „საჭირო ხდება წარმოებულ იქნას ახალი ცდები, რათა ხელი შეეშალოს ატომური იარაღის გამოყენებას ომისათვის. ჩვენ არ გვინდა შევამციროთ საბჭოთა კავშირთან დამაკმაყოფილებელი შეთანხმების მიღწევის სიძნელენი, მაგრამ ეს სიძნელენი სანახევროდაც არ არის იმდენად საშინელი, როგორც ამ საქმეში მარცხის შედეგები“.

საბერძნეთის გაზეთი „ავგი“ ბეჭდავს ცნობას საბჭოთა კავშირში წყალბადის ბომბის აფეთქების შესახებ სათაურით „შეცდა ყველა ის, ვინც ფიქრობდა, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა სისუსტის ნიშანია. მიუხედავად ი

ვილჰელმ პიკმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

ბერლინი, 24 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა დღეს ნიდერშენჰაუზენის რეზიდენციაში (ბერლინი) მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლის მეთაურობით, რომელიც დაბრუნდა გუშინ მოსკოვიდან საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ.

მთავრობის დელეგაციამ ინფორმაცია გაუკეთა პრეზიდენტს საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგებზე.

დარბაზობის დროს სიტყვები წარმოთქვეს პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა და პრემიერ-მინისტრის მოადგილეებმა ოტო ნუშკემ, ლოტარ ბოლცმა და ვალტერ ულბრიხტმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა წარმოთქვა საპასუხო სიტყვა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა მიესალმება მოსკოვში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკების შედეგებს

ბერლინი, 23 აგვისტო. (საკდესი). ტექსტები საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების კომუნიკესი, აგრეთვე ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი ოქმისა გერმანიის რეპარაციების გადახდევინების შეწყვეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ საფინანსო-ეკონომიურ ვალდებულებათა შემსუბუქების სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან არაერთხელ გადასცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბერლინის დემოკრატიული სექტორის რადიოსადგურებმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბერლინის დემოკრატიული სექტორის მოსახლეობა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შესახებ.

ადნ-ის სააგენტომ გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა პირველი გამოხმაურება მოსკოვში გერმანიის საკითხზე წარმოებული მოლაპარაკების შედეგებზე.

ლაიპციგის ობერ-ბურგომისტრმა ერიხ ულიხმა მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების შედეგად მიღებულ შეთანხმებათა გამო განაცხადა, რომ სსრ კავშირის მთავრობამ კვლავ დაადასტურა თავისი სიტყვები კონკრეტული საქმეებით. ამ მოლაპარაკების შედეგები და მისი განხორციელება, თქვა ულიხმა, ხელს შეუწყობს ჩვენი საშშობლოს ეროვნული ერთიანობისათვის ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას. აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ყველა პატრიოტი მხარს დაუჭერს ამ ბრძოლას.

გერმანიის ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის დრეზდენის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ მაქს შმიდტმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა უდიდესი გულმოდგინებით ადევნებდა თვალყურს მოსკოვში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასა და საბჭოთა მთავრობას შორის მოლაპარაკების მსვლელობას და რომ იგი მხურვალედ მიესალმება ამ მოლაპარაკების შედეგებს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ვარშავა, 24 აგვისტო. (საკდესი). დღეს პოლონეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება გერმანიის საკითხზე. განცხადებაში ნათქვამია:

„პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა დიდი კმაყოფილებით მიესალმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებს გერმანიის საკითხზე.

ამ გადაწყვეტილებათა მიზანია უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობა ევროპაში, ჩაშალოს იმპერიალისტების ხრიკები, რომლებიც ცდილობენ დასავლეთი გერმანია გადააქციონ ახალი ომის საშიშარ კერად. ამ გადაწყვეტილებათა მიზანია აგრეთვე შექმნას გაერთიანებული, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანია.

ამ გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ყველა ხალხისათვის და კერძოდ პოლონელი ხალხისათვის, როგორც გერმანიის მეზობლისათვის, რომელიც ბევრჯერ გამხდარა გერმანიის მილიტარიზმის თავდასხმის მსხვერპლი.

ეს გადაწყვეტილებანი აძლიერებენ პოლონეთის უშიშროებას და ლახვარს სცემენ ნეოჰიტლერელი რევანშისტებისა და რევიზიონისტების, აგრეთვე მათი მფარველების დანაშაულებრივ ხრიკებს, მთელს გერმანიაში აძლიერებენ მშვიდობისა და დემოკრატიის ძალებს, რომელთა გამოხატველიც არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

იღებს რა მხედველობაში, რომ გერმანიამ უკვე მნიშვნელოვანწილად შეასრულა თავისი ვალდებულებანი რეპარაციების დარგში და რომ გერმანიის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება შეესაბამება მისი მშვიდობიანი განვითარების ინტერესებს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, ცდილობს რა თავისი შემდგომი წვლილი შეიტანოს გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი და დემოკრატიული სულისკვეთებით მოწესრიგების საქმეში, აგრეთვე პოლონელი ხალხისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესების შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება 1955 წლის 1 იანვრიდან შეწყვიტოს პოლონეთის სასარგებლო რეპარაციების გადახდევინება.

პოლონეთის მთავრობა მთლიანად იზიარებს სსრ კავშირის მთავრობის რწმენას, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი არსებითად დაეხმარება გერმანელ ხალხს არა მარტო განამტკიცოს თავისი ეკონომიკა, არამედ შექმნას აგრეთვე საჭირო პირობები ერთიანობის აღდგენისა და გერმანიის გაერთიანებული და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის, რაც პოლონელ ხალხს სასიცოცხლოდ აინტერესებს“.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბუქარესტი, 22 აგვისტო. (საკდესი). პრესაში გამოქვეყნებულია საინფორმაციო ცნობა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 19-20 აგვისტოს გაფართოებული პლენუმის შესახებ.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოხსენება „პარტიის ამოცანები სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების დარგში“, რომელიც გ. გეორგიუ-დეჟმა წარადგინა.

სოციალიზმის მშენებლობის პოლიტიკური ხაზის თანამიმდევრული განხორციელების მიზნით სოციალიზმისა, რომლის უმაღლესი კანონია მშრომელთა მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა მოხსენებაში ჩამოყალიბებული ეკონომიურ ღონისძიებათა პროგრამა. ამ ღონისძიებათა მიზანია ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი მნიშვნელოვანი ამაღლება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, საბინაო მშენებლობის გაფართოებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის დარგში სხვა ღონისძიებათა განხორციელების გზით და სხვ.

პლენუმმა ურჩია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიიღოს საჭირო დადგენილებანი ეკონომიურ ღონისძიებათა ამ პროგრამის განხორციელებისათვის.

პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება პარტიული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში პარტიის ამოცანების შესახებ და დადგინა მოწვეულ იქნას რუმინეთის მუშათა პარტიის ყრილობა 1954 წლის მარტში.

სამხედრო ტყვეთა რეპატრიაცია კორეაში

პეკინი, 24 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს:

დღეს კორეა-ჩინეთის მხარემ მოახდინა 400 სამხედრო ტყვის — 150 ამერიკელისა და 250 კორეელის რეპატრიაცია.

მეორე მხარემ დღეს კორეა-ჩინეთის მხარეს გადასცა კორეის სახალხო არმიის 2.398 ტყვე სამხედრო მოსამსახურე.

რეპატრიირებულმა სამხედრო ტყვეებმა იუ ჟაი-იუნმა და ჩი კუკ ხვანმა დღეს განაცხადეს, რომ როცა კორეა-ჩინეთის მხარის სამხედრო ტყვეები 14 აგვისტოს დილით გემით კუნძულ პონგამიდან ინჩონს ჩავიდნენ, მათ ქვები დაუშინეს შენიღბულმა ლესინმანელმა აგენტებმა. იუ ჟაი-იუნი და ჩი კუკ ხვანი დაიჭრნენ. კორეის სახალხო არმიის სამი სხვა სამხედრო ტყვე თავში დაიჭრა და სისხლის დაცლის გამო გონება დაკარგა. ისინი გაგზავნეს ინჩონს ამერიკის საზღვაო ჰოსპიტალში. ღამით ისინი მოულოდნელად წაიყვანეს ჰოსპიტლიდან და მას შემდეგ არავინ იცის, სად იმყოფებიან.

სიმაართლე ამერიკის სამხედრო ტყვეთა ბანაკების შესახებ

რეპატრიირებულ კორეელ ტყვეთა ნაამბობი

პეკინი, 24 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 23 აგვისტოს კესონიდან გადმოგვცა:

ტყვეობიდან დაბრუნებულმა კორეელმა სამხედრო მოსამსახურეებმა, რომელნიც იმყოფებოდნენ კუნძულ კოჯედოს № 2 ბანაკში, ილაპარაკეს, რომ გასული წლის ოქტომბერში მხეცურად სცემეს კორეის სახალხო არმიის ორი ათასზე მეტ სამხედრო ტყვეს.

გასული წლის 14 ოქტომბერს ლისინმანელთა სამი ასეული ჯარისკაცი ერთი ამერიკელი და ერთი ლისინმანელი ოფიცრის მეთაურობით შეიჭრა კუნძულ კოჯედოს № 2 ბანაკში. ისინი გარს შემოერტყნენ პირველ სექტორს, ხოლო შემდეგ გამოყარეს სამხედრო ტყვეები ბარაკებიდან და გარეკეს ისინი ლისინმანელთა ჯარისკაცების მწყობრში, რომლებმაც იხმარეს ხიშტი და კონდახი. ბევრი სამხედრო ტყვე დაიჭრა.

ასევე მხეცურად სცემეს სხვა სექტორთა სამხედრო ტყვეებს. აქ ცემა დაიწყო 14 ოქტომბერს ნაშუადღევის 5 საათზე და გაგრძელდა 15 ოქტომბრის ნაშუადღევის 2 საათამდე. ბანაკში მყოფ 4.000 სამხედრო ტყვეთაგან 2.000-ზე მეტი კაცი დაზარალდა.

ტყვეობიდან დაბრუნებულმა კიმ ვან ტაიმ, რომელიც ამ ბანაკის მესამე სექტორში ჰყავდათ, ილაპარაკა, რომ სამხედრო ტყვეთა ცემის დროს იგი ხიშტით დაჭრეს მხარში. მისი მეზობლები ბანაკში — სამხედრო ტყვეები ჩა ჩან ინი და ო ჩანი თავში დაჭრნენ. სამხედრო ტყვე ლი კუ ნამი თავში დაჭრეს და მარცხენა ხელი დაუზიანეს. „დაიჭრა მესამე სექტორში მყოფი ხუთასივე სამხედრო ტყვე, — განაცხადა კიმ ვან ტაიმ. — ბანაკში მთელ დღეს ისმოდა ნაცემთა და დაჭრილთა კვნესა“.

მდგომარეობა ირანში

თეირანი, 24 აგვისტო. (საკდესი). როგორც ირანის რადიო იუწყება, გენერლებს რიიაჰისა და ჭიიანის, პოლკოვნიკებს მომთაზსა და ნადირის სამხედრო-საველე სამართალში მისცემენ.

პარიზი, 24 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, მეჯლისის დეპუტატმა, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორმა ზიჰაქ-ზადემ თავი მოიკლა. ამ თვითმკვლელობას პოლიტიკურ მოტივებს მიაწერენ.

ირანში დააპატიმრეს პროგრესული მოღვაწენი

პარიზი, 24 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, თეირანში დაპატიმრებული არიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი მორთეზა ლენქორანი და ირანის მშვიდობის მომხრეთა საზოგადოების მდივანი მაჰმუდ ჰორმოზი.

ქართველ და ინდოელ ფეხბურთელთა მეგობრული შეხვედრა

აღმოსავლეთ ბენგალიის ქალაქ კალკუტის კლუბი — „დინამო“ (თბილისი)

25 აგვისტო. წარმტაც სანახაობას წარმოადგენდა ამ დღეს მრავალათასიანი მაყურებლით სავსე თბილისის სტადიონის იარუსები. ირგვლივ ტევა არ იყო. ასეთი ინტერესი მარტო იმით როდი უნდა ავხსნათ, რომ აქ, „დინამოს“ სტადიონზე დანიშნული იყო საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში, უპირველესყოვლისა იგი უნდა მივაწეროთ იმ დიდ პატივისცემასა და სიყვარულს, რომელსაც საბჭოთა კავშირის მშრომელები იჩენენ მშვიდობისმოყვარე ხალხებისადმი, მათ შორის ინდოელი ხალხისადმი.

...17 საათი და 30 წუთია. მარშის ხმაზე მოედანზე გამოდიან აღმოსავლეთ ბენგალიის ქ. კალკუტის კლუბისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები. თითქოს ერთდროულად, სტადიონის იარუსებიდან მოწყდა ერთსულოვანი ტაში, სტუმართა პატივსაცემად გამართული ოვაცია დიდხანს არ შემწყდარა.

წითელ-ყვითელ მაისურებსა და შავ ტრუსებში გამოწყობილი სტუმრები, დინამოელებთან ერთად მოედნის ცენტრში პირით დასავლეთ ტრიბუნისაკენ აკეთებენ რკალს. მოედნის ცენტრისაკენ მიემართებიან სრულიად-ინდოეთის ფეხბურთის ფედერაციის კომიტეტის წევრი, გუნდის უფროსი მწვრთნელი ტ. გუხა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ამხ. ბ. კვინიხიძე.

სტუმრებს მიესალმა ამხ. ბ. კვინიხიძე. ინდოეთის სპორტსმენთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ტ. გუხამ თბილისის მშრომელებს მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, ამასთანავე მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს საბჭოთა და ინდოელ ხალხთა მეგობრობას.

გაისმის ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ხმა.

შეჯიბრების გახსნის ცერემონია მთავრდება, ფეხბურთელები გულთბილად მიესალმებიან ერთმანეთს და რამდენიმე წუთის წვრთნის შემდეგ ტოვებენ მოედანს.

კვლავ ერთსულოვანი ტაში. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ნ. ჩხაკარაშვილის სასტვენის ხმაზე მოედანზე გამოჩნდნენ ინდოელი და თბილისელი ფეხბურთელები. მათ რიგებში არიან: აღმოსავლეთ ბენგალიის ქ. კალკუტის გუნდის მოთამაშენი — მეკარე — მ. გატაკა; დამცველები — მ. დორაილინგამი, პ. კუმარი, ა. დატი; ნახევარდამცველები — ა. სვამი, ლ. მუკერჯი; თავდამსხმელები — ა. ვენკატეში, მ. აპარაო, მ. ტანგარაჯი, ა. ხანი, მ. ფაკრი.

თბილისის „დინამო“: მეკარე — ვ. მარდანია; დამცველები — ვ. ელოშვილი, ჯ. რუსაძე, ნ. გაგნიძე; ნახევარდამცველები — რ. მახარაძე, გ. ანთაძე; თავდამსხმელები — ა. კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, ზ. კალოევი, ა. ღოლობერიძე, ა. ჭკუასელი.

ჯერ ორი წუთიც არ იყო გასული, რომ თბილისელები სტუმართა საჯარიმო მოედანზე შეიჭრნენ და გახსნეს ანგარიში. ბურთი გაიტანა გ. ანთაძემ. მე-3 წუთზე ზ. კალოევმა მეორე ბურთი მოათავსა ინდოელთა კარში, ხოლო 6 წუთის შემდეგ რ. მახარაძემ ანგარიში გახადა 3:0.

ყურადღებას იპყრობს თავდამსხმელთა ხუთეულის თამაში. ისინი ფეხშიშველი თამაშობენ. კომბინაციებს მოკლე გადაცემებით იწყებს ცენტრალური სამეული, შემდეგ გადადიან გრძელ გადაცემებზე და შეტევას ძირითადად ფლანგებიდან ანხორციელებენ.

21-ე წუთისათვის ანგარიში უკვე იყო 5:0. უკანასკნელი ორი ბურთი გაიტანეს ა. კოტრიკაძემ და ზ. კალოევმა.

კიდევ რამდენიმე წუთი და სტადიონზე გაისმის ერთსულოვანი ტაში. თბილისელები ინდოელ სპორტსმენებს ულოცავენ წარმატებას. რთული მდგომარეობიდან კარზე ზურგშექცევით ბურთი გაიტანა შუამრბმა მ. ტანგარაჯმა.

შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ანგარიშით 5:1.

მეორე ტაიმში უპირატესობა კვლავ თბილისელთა მხარეზე იყო. დინამოელებმა დამატებით 4 ბურთი გაიტანეს და მოიგეს ეს საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ანგარიშით 9:1.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ფეხბურთელებმა გულთბილად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და მაყურებელთა ერთსულოვანი ტაშის ქვეშ დატოვეს მოედანი.

ვ. გაბელია.

* * *

ინდოელ და თბილისელ ფეხბურთელთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. სურათზე: დინამოელები სტუმრებს თაიგულებს აწვდიან.

ფოტო ვ. ზარიძისა.

საბჭოთა მოჭადრაკეები შვეიცარიაში გაემგზავრნენ

24 აგვისტოს მოსკოვიდან ციურიხს (შვეიცარია) საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ საბჭოთა მოჭადრაკეები გროსმაისტერები ი. ავერბახი, ი. ბოლესლავსკი, დ. ბრონშტეინი, ე. გელერი, ჰ. კერესი, ა. კოტოვი, ტ. პეტროსიანი, ვ. სმისლოვი და მ. ტაიმანოვი.

ციურიხის საერთაშორისო ტურნირი შესარჩევი შეჯიბრებაა; საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მიერ ჭადრაკში მსოფლიო პირველობის გათამაშების მიღებული სისტემის შესაბამისად პრეტენდენტთა ციურიხის ტურნირში გამარჯვებული ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩში შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს მ. ბოტვინიკს. ეს მატჩი გაიმართება 1954 წელს.

ციურიხის ტურნირი მოეწყობა ორ წრად და ოქტომბრის დამლევამდე გასტანს.

მიღებული ცნობებით, ციურიხის ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე გროსმაისტერები: ლ. საბო (უნგრეთი), გ. შტალბერგი (შვეიცარია), მ. ეივი (ჰოლანდია), მ. ხაიდორფი (არგენტინა), ს. რეშევსკი (ამერიკის შეერთებული შტატები) და ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია).

თხუთმეტი გროსმაისტერის ტურნირი ციურიხში ამა წლის უდიდესი საერთაშორისო საჭადრაკო შეჯიბრება იქნება. იგი გაიხსნება 29 აგვისტოს. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. დიმიტრი სტეფანეს-ძე ჩუვახინი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კანადაში.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ქალთა მსოფლიო პირველობა

ჭადრაკი

ლენინგრადის ფიზკულტურელის სახლში 15 აგვისტოს დაიწყო მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში ქალთა შორის. პირველობას ერთმანეთს ეცილება ორი საბჭოთა მოჭადრაკე — მსოფლიო ჩემპიონი ლენინგრადელი ლიუდმილა რუდენკო და მოსკოველი ელისაბედ ბიკოვა, რომელმაც მატჩში მონაწილეობის უფლება მიიღო, როგორც ქალთა უკანასკნელ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში გამარჯვებულმა.

მოწინააღმდეგენი გაითამაშებენ 14 პარტიას. შეჯიბრების მონაწილეს, რომელიც მოაგროვებს 7½ ან 8 ქულას, მიენიჭება გამარჯვება. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილენი თანაბარი რაოდენობის ქულებს მოაგროვებენ ლ. რუდენკო შეინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას.

მატჩის პირველი ორი პარტია მოიგო რუდენკომ. 20 აგვისტოს გაიმართა მატჩის მესამე პარტია, რომელიც მეტად მწვავე თამაშის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა. მეორე დღეს თამაშის განუახლებლად რუდენკომ დათმო პარტია. ამრიგად მატჩის ანგარიშია 2 : 1 რუდენკოს სასარგებლოდ.

* * *

ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში პირველად მოეწყო ლონდონში 1927 წელს. ამ საინტერესო შეჯიბრებაში გაიმარჯვა და მსოფლიო ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა ჩეხოსლოვაკმა მოჭადრაკემ ვერა მენჩიკმა.

ვერა მენჩიკი დაიბადა 1906 წელს ქალაქ მოსკოვში, ეროვნებით ის იყო ჩეხი. განათლება მიიღო მოსკოვში. ჭადრაკი ისწავლა 9 წლის ასაკში მამისაგან. 1921 წელს ვერა მენჩიკის ოჯახი გადასახლდა ინგლისში. აქ იგი ჩაეწერა პესტინგის კლუბში, სადაც უნგრელი გროსმაისტერის გეზა მაროცის ყურადღება მიიქცია. მაროცი ვერა მენჩიკის მასწავლებელი გახდა.

1927 წლიდან 1939 წლამდე გამართულ შვიდ მსოფლიო ჩემპიონატში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ვერა მენჩიკი (ამ ტურნირებში საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალები არ მონაწილეობდნენ).

ვერა მენჩიკი გამოირჩეოდა ძლიერი თამაშით. იგი ხშირად მონაწილეობდა ოსტატ მამაკაცთა საერთაშორისო ტურნირებში.

1944 წელს 38 წლის ასაკში ვერა მენჩიკი საჰაერო დაბომბვის შედეგად დაიღუპა ლონდონში.

1948 წელს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის XIX კონგრესზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ 1949 წელს ქალაქ მოსკოვში ჩატარებულიყო ქალთა მერვე მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა 16 ქალი.

1949 წლის დეკემბერში ქალაქ მოსკოვში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქალთა მერვე მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდა 12 ქვეყნის 16 მოჭადრაკე ქალი. სსრ კავშირის სასპორტო ღირსებას იცავდა ოთხი მოჭადრაკე — ოლგა რუბცოვა, ელისაბედ ბიკოვა, ვალენტინა ბელოვა და ლიუდმილა რუდენკო. შეჯიბრებაში პირველობისათვის იბრძოდნენ აგრეთვე უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, ჰოლანდიის, ამერიკის შეერთებული შტატების, დანიის, პოლონეთის, იტალიის, საფრანგეთის და კუბის წარმომადგენლები. ამ მეტად სერიოზულ შეჯიბრებაში, რომელიც ერთ თვეს გაგრძელდა, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ლიუდმილა რუდენკომ, რომელმაც 15 შესაძლებლიდან მოაგროვა 11½ ქულა. მომდევნო სამი ადგილიც ერგოთ საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეებს ო. რუბცოვას, ე. ბიკოვას და ვ. ბელოვას. საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალებმა კვლავ დამტკიცეს, რომ საბჭოთა საჭადრაკო სკოლა ყველაზე მოწინავეა მთელ მსოფლიოში.

ამ შეჯიბრებაში მოპოვებული დიდი გამარჯვებისათვის საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესმა ლ. რუდენკოს მიანიჭა საერთაშორისო ოსტატის წოდება.

ლიუდმილა რუდენკო დაბადებულია 1904 წელს უკრაინაში, მასწავლებლის ოჯახში. ჭადრაკი ისწავლა 10 წლისამ თავისი მამისაგან. პროფესიით ლ. რუდენკო ეკონომისტი-მგეგმავია.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესის მიერ დაწესებულია, რომ მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უნდა იცავდეს თავის წოდებას. ამისათვის 1952 წელს ქ. მოსკოვში გაიმართა მსოფლიო უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა 10 ქვეყნის 16 მოჭადრაკე ქალი. მათ შორის საბჭოთა კავშირის 5 წარმომადგენელი. ამ ტურნირში გამარჯვებულს ენიჭებოდა უფლება 1953 წელს შეცილებოდა ლ. რუდენკოს მსოფლიო ჩემპიონის წოდებაში.

ტურნირი მწვავე და საინტერესო ბრძოლებით ხასიათდებოდა. ამჯერადაც ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია 11½ ქულით საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა ელისაბედ ბიკოვამ.

რა შედეგითაც უნდა დამთავრდეს რუდენკოს და ბიკოვას მატჩი, მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის მაინც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იქნება.

ქსენია გოგიავა,
პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-08-67, ხამდივნისა—8 06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის 8-20-43, კულტურისა და ეროვაცხოვრების და საქმეთა მმართველობის—8-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 8-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 8-73-24, განცხადებების — 8-51-81, გამომწვევის — 8-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 8-65-41, სტამბის დირექტორის — 8-77-70.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო აცხადებს 1953-54 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას კულაშის ზოოტექნიკურ-ვეტერინარო, წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ბაკურციხის ტექნიკუმების დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე.

კულაშის ზოოვეტტექნიკუმის დაუსწრებელი სწავლების განყოფილება ამზადებს უმცროს ზოოტექნიკოსებს და ვეტერინარ ფერშლებს, წულუკიძის მექანიზაციის ტექნიკუმი — ტექნიკოს მექანიზატორებს და ბაკურციხის ტექნიკუმი — უმცროს აგრონომებს. სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი განურჩევლად ასაკისა, რომელთაც აქვთ განათლება არანაკლებ არასრული საშუალო სკოლისა.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი სწავლას გადიან შემოკლებული ვადით, ისინი მიიღებიან მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგის მიხედვით მესამე კურსზე.

დაუსწრებლად კურსდამთავრებულებს უფლება ენიჭებათ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებლებში საერთო წესით.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: უკანასკნელი სამი წლის პერიოდში არასრული საშუალო სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებულნი, სამამულო ომის მონაწილენი, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს არასრული საშუალო სკოლა, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები, ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სხვა ტექნიკუმის ერთი ან რამდენიმე კურსი, მიიღებიან შესაბამის კურსზე თუ სწავლაში დროის გაწყვეტა არ აღემატება 3 წელს. დანარჩენები აბარებენ მისაღებ გამოცდებს:

ა) არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი: სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

ბ) საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი: სსრ კავშირის ისტორიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

განცხადებები მიიღება 15 ნოემბრამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე.

განცხადებები შეტანილ უნდა იქნას შესაბამისი ტექნიკუმის დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით. განცხადებას თან უნდა დაერთოს: განათლების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, 3 ფოტოსურათი გადაღებული უქუდოდ (3×4), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ დამტკიცებული ნიმუშით, ცნობა სამუშაო ადგილიდან თანამდებობისა და სტაჟის ჩვენებით, დახასიათება სამუშაო ადგილიდან ან საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.

შორეული რაიონებიდან ტექნიკუმში შემსვლელთ შეუძლიათ მისაღები გამოცდები ჩაბარონ შესაბამისი ტექნიკუმის დირექციის ნებართვით სამუშაო ადგილის მახლობელ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმის დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე და რაიონებში სოფლის მეურნეობის სამმართველოებში.

მისამართი: 1. სამტრედია, კულაშის ზოოვეტტექნიკუმის დაუსწრებელი სწავლების განყოფილება. 2. წულუკიძე — სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმი. 3. გურჯაანი, ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

ქალაქ თბილისის მოსახლეობისა და ორგანიზაციების საყურადღებოდ არტელი „საქტყემრწვი“ აწარმოებს ყოველგვარი ავეჯის შეკეთებას. ანგარიშსწორება შეიძლება როგორც ნაღდად, ისე გადარიცხვით.

მისამართი: ქალაქი თბილისი, ივანიძის ქ. № 36. არტელი „საქტყემრწვი“.

ცოლი ანა, შვილები მიშა და ვერა იუწყებიან სტეფანე ივანეს-ძე გასპარაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-VIII, 7 ს. გამოსვენება 27-VIII, 6 ს. კოტე მესხის ქ. 8.

ლენინის ორდენოსან ტრესტ საქმიდროენერგომშენის სამოქალაქო და საბინაო მშენებლობის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ლავრენტი პავლეს-ძე ჭანკოტაძის გარდაცვალებას.

მშობლები, სირან, გიორგი, ძმები ვალერიან, შალვა, ზურაბ, რძლები რუსეთიდან, როგნედა, ძმისწულები იუწყებიან ანზორ გიორგის-ძე მაისაშვილის გარდაცვალებას. დაკრ